



# არსენალი

საარსენალო  
გაზეთი

№ 18 (87), 4 - 17 სექტემბერი, 2009. სპეცდრო-ანალიტიკური ჟურნალი. ფასი 1,5 ლარი.

**კატანგროფული  
ავიაშოუ**

1425  
2009

**ქართული არმიის  
გადახალისება  
კვასრი მეთოდებით  
დაიწყება?!**



**მოკრიღათ  
ფათქვაღსაუიუ  
საბნეზს!..**

**სოხუი ზღვაზე  
კაღის გამოყენებით  
იგუბრება!**



ქართული არმიის  
გადახალისება  
გეგმრი  
პეტროლეუმით  
ღანიწყობა?!

6



სოსუნი  
ზღვაზე კალის  
გაეოყენებით  
იხუჭრება

10




ეოერიღეთ  
ფეთქებაღსაუიო  
საბნებს!

12

ვისგოლეგიღან  
აბოეურ წყაღქვეუა  
ნავაემღე

46



გარგაღ  
განეკვეიიის  
1940 წლის  
13 გარგის  
გრკანეუა

20



CBJ-MS

53



# სარჩევი

- კალიდოსკოპი**
- 4 ახალი ამბები
- საქარო მწიფება**
- 6 ქართული არმიის გადახატისება მკაცრი მეთოდებით დაინიჭება?
- სანაირი არაქვერია**
- 7 ვის ევალება სანაპირო ზოლის დაცვა
- სანაირი ღამა**
- 10 სოხუმი ზღვაზე ძალის გამოყენებით იმუქრება
- საფრთხე**
- 12 მოერიდეთ ფეთქებადსაშიშ საგნებს!
- საფსახსახვარაბი**
- 16 საქართველოს საგარეო დავერვა - მითი და რეალობა
- სიხლე შეიარაღებაში**
- 19 ჯავშანავტომობილი Caiman-ი
- ისტორიული პარალელი**
- 20 მარშალ მანერჰიმის 1940 წლის 13 მარტის ბრძანება
- საპიამიო შეიარაღება**
- 22 საავიაციო ქვეშეები და ტყვიამფრქვევები
- ინოვაციური ტექნოლოგიები**
- 30 მფრინავი ავიამბიდეები
- ვსსოზიშია**
- 36 ჯატასტროფული MAK 2009
- სიხლე შეიარაღებაში**
- 39 ფრანგული ხომალდით რუსეთი დაინტერესდა
- რეგიონი**
- 40 ჯაკასიური მოვლენების მიმოხილვა...
- იარაღის ისტორიულიდან იარაღის ისტორიულიდან**
- 42 ხიშტიდან ხიშტი-დანებამდე
- იარაღის მხარეობა**
- 46 პისტოლეტიდან ატომურ წყალქვეშა ნავამდე
- ქროსპოლი**
- 52 არსენალის კოორდინატი
- არსენალის იარაღის მფრინავი**
- 53 CBJ-MS - შვედური თავდაცვის პერსონალური იარაღი ორიგინალური ვახუშეთი და რუსული ჯავშანგანსპორტიორების გახვრეტის უნარით

## კალიდოსკოპის სვეტი

საქართველოში კვლევა შეიცვალა თავდაცვის მინისტრი. ამ მოვლენას ქართული პოლიტიკური და საზოგადოებრივი სექტორი სხვადასხვაგვარად გამოეხმაურა. იმის მიუხედავად, თუ როგორი დამოკიდებულება აქვთ ბაჩო ახალაიას მიმართ - ზოგი დადებით შედეგს ელის, ზოგიც უარყოფითს... თუმცა ერთ რამეში ყველა თანხმდება: ახალი მინისტრი, რწმუნებულ უწყებას ძლიერი ხელის პრინციპით მართავს აპირებს...

ჩემი აზრით, საჭიროა დეველოპმენტი მოვლენების განვითარებას და ვიდეოლოგიები, რომ ბატონი ახალაია აღარ ჩაკეტავს საზოგადოებისთვის თავდაცვის უწყების კარს და უარს არ იტყვის ორმხრივ თანამშრომლობაზე საზოგადოებრივ სტრუქტურებსა და მასმედიათან.

*ირაკლი ალადაშვილი  
გიორგი შორაშვილიანი*

### ყურადღება!

გამოიწერეთ „არსენალი“ და მიიღეთ შინ, ორ კვირაში ერთხელ!  
ტელ: 38-26-74;  
38-26-73

რედაქციის დაუეთხავად მასალების გადაბეჭდვა აკრძალულია

გადაცემულია დასაბეჭდად  
31.08.2009

გაზეთ „კვირის პალიტრა“  
დამატება ©  
რედაქციის მისამართი:  
თბილისი, იოსებძის ქ. №49.  
ტელ: 38-37-47  
სარედაქციო განყოფილება:  
ტელ: 37-78-07; 38-78-70  
email: arsenali@kvispalitra.com  
ყურნალი გამოდის  
ორ კვირაში ერთხელ  
პარასკევს

# აეიამზიდს 2,4 მლრდ ღოლაად გააკომოტეაენ



აშშ-ის სამხედრო-საზღვაო ძალებმა ამერიკულ კომპანია Northrop Grumman-თან გააფორმა კონტრაქტი, რომლის დირეულებმა 2,4 მლრდ დოლარია და ითვალისწინებს ავიაშიდი „თოიდორ რუზველტის“ გარემოტეაენსა და რეაქტორების ხელახალ შეკესებას.

საბრძოლო ხომალდი კორპორაციის გემთმშენებელ ვერფზე ქალაქ ნიუპორტ-ნიუსში (ვირჯინიის შტატი) 2009 წლის აგვისტოს ბოლომდე დადგება. დაგეგმილია 2300 ნაკეთურის, 600 რეზერვუარისა და ასეულობით სისტემის მიდერნიზაცია; სრულყოფენ ავი-

ამზიდის ასაფრენ გემბანს, კატაპულტის დანადგარებს, შეიარაღებასა და სხვა კომპონენტებს.

კომპანიის წარმომადგენლის ჯიმ პიუზის თქმით, ამ „ონელი და ხანგრძლივი პროექტის“ მსვლელობისას ხომალდის თითქმის ყველა ელემენტი შეეკეთება. შემკვეთის ვარაუდით, რემონტის დამთავრების შემდეგ ავიაშიდი კიდევ 25 წელს იქნება ექსპლუატაციაში. „თოიდორ რუზველტის“ ექსპლუატაციის გადამ კი დაახლოებით 50 წელი უნდა შეადგინოს.

ავიაშიდი Nimitz-ის პროექტის მიხედვით აშენდა და აშშ-ის ფლოტს 1986 წელს გადაეცა. ეს ათიდან მეთიხე ანალოგიური ხომალდია. ბოლო მათგანი, რომელსაც „ჯორჯ ბუში“ უწოდეს აშშ-ის 41-ე პრეზიდენტიისა და სამხედრო მფინანავის პატესაცეკმად, აშშ-ის სამხედრო-საზღვაო ძალებმა 2009 წელს მიიღეს. პროექტის ხომალდის წყალწვევა 100 ათის ტონას შეადგენს. პროექტ Nimitz-ის ავიაშიდის გემბანზე დაახლოებით 100 საბრძოლო თეათმფინანავი და შეველმფერენი თავსდება.

## რუსეთის გენგტაგი ფრანგული შვეულმფერენის შეკენას გეგმავს

რფ შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის უფროსმა დაადასტურა, რომ დაგეგმილი აქვთ ფრანგული წარმოების Mistral-ის ტიპის შვეულმფერენი სადესანტო შეველმფერენშიდის შეკესება. მონილოლეით დედეაქალაქ ულან-ბატორში გამართულ პრესკონფერენციაზე როგორც გენერალმა განაცხადა, იფიციალური მოსკოვი იმედოვნებს, რომ წლის ბოლომდე მზარეები საბრძოლო ხომალდების შესეიდვაზე მოილაპარაკებენ. ჯერჯერობით ლაპარაკია მხოლოდ ერთ ხომალდზე, შემდეგ კი დაგეგმილია 3-4 ხომალდისგან შემდგარი სერიის სამაშულო წარმოება. როგორც ექსპერტები აღნიშნავენ, მოსკოუსა და პარიზს შორის ამ საკითხზე მოლაპარაკებათა წარმოების ალბათობა ძალზე მაღალია. 2008 წლის ოქტომბერში სამხედრო-საზღვაო ფლოტის მთავარსარდალმა ფრანგულ ავიასალონ Euronaval-ზე ამ საკითხზე ზოგადდ აღაპარაკა. როგორც მან განაცხადა, „რუსეთის ფლოტი დაინტერესებულია როგორც ერთობლივი წარმოებით, ასევე ფრანგული მოწყობილობების პირდაპირი წესით შესეიდვებით“. ამბიშალი სალონზე დაინტერესდა DCNS-ის წარ-

მოების Mistral-ის ტიპის სადესანტო ხომალდებით.

შეინიშნავთ, რომ საფრანგეთის სამხედრო-საზღვაო ძალების შეიარაღებაში არის ორი შეველმფერენი Mistral-ი და მამდინარეობს კიდევ ერთის მშენებლობა. ამ ხომალდების გამოყენება შეიძლება საშ-

ტაბო ხომალდებდა, ჯარებისა და ტვირთების გადასაყვან-გადასახიდად, ფესანტის გადასახსეულად. შეველმფერენშიდი Mistral-ის სრული წყალწვევა 21300 ტონას, სიგრძე — 199 მ-ს, სიგანე — 32 მ-ს, სიქქარე — 18,8 კანს, ცურვის სიშორე კი 19800 მილს შეადგენს.



# მიგ-29-ის კულის ფრთასხმულობა კოროზიამ დაახინა

რუსეთის სამხედრო-საზღვაო ძალების კომისიამ გამანადგურებელ მიგ-29-ების 80%-ს კულის ფრთასხმულობის კოროზია აღმოუჩინა. ამის გამო 2009 წელს დაგეგმილია 106 გამანადგურებლის კილების შეკეთება. მანქანების ერთი ნაწილის ექსპლუატაცია პერიოდული კონტროლით გაგრძელდება. რე სამხედრო-საჰაერო ძალების შვიარაღებსა დაახლოებით სამასი გამანადგურებელი მიგ-29.

თეთიმფრინავეების შემოსწემა მას შემდეგ დაიწყო, რაც 2008 წლის 5 დეკემბერს აეროდრომ „დონთან“ (თბილისი რაიონი) 5 კილომეტრის მოშორებით მიგ-29-ის კატასტროფა განიცადა, რომლის დროსაც პილოტი დაიღუპა. იმავე წლის ოქტომბერში ჩიტასთან ახლოს ჩამოვარდა კიდევ ერთი მიგ-ი, რომლის პილოტი გადაარჩა. მანქანა ქალაქიდან 40 კილომეტრის მოშორებით, ჭანჭუბოში ჩავარდა, ამიტომ კატასტროფის ნგრევა და მსხვერპლი არ მოჰყოლიდა. სამხედროთა შეფასებით ორეუ ინციდენტის მიზეზი ტექნიკური ხარვეჭები იყო.

2009 წლის მარტში საავიაციო ტექნიკის პარკი შემოსწების შედეგად დაახლოებით 90 გამანადგურებელი მიგ-29 კოროზიით დაზიანებული აღმოჩნდა. იმ დროისათვის დაახლოებით 200 თეთიმფრინავეი შემოსწევა. მათგან 100-ზე მეტი ფრენებზე დაუშვებს, დაახლოებით 90 კი დაიწუნეს.

ის მოდერნიზებული მიგ-29-ები კი, რომლებიც ალკირისთვის იყო განკუთვ-



ნილი და შეძვევითა დაიწუნა და უკან დააბრუნა, რე სამხედრო-საჰაერო ძალების საავიაციო ნაწილების შეარაღებაში შევიდა. „ალკირული“ მიგ-ები კურსსა და ლიბეცკში დისლოცირებულ ბაზებში გადაიყვანეს. სამხედრო მალაქინოსნების თქმით, მიგ-29-CMT თეთიმფრინავე მიგ-29-ს მეტად შედეგიანი მოდერნიზაციაა, რამაც მისი საბრძოლო შესაძლებლობები მნიშვნელოვნად გაზარდა.

შეგახსენებთ, რომ აღვირბა რუსული თეთიმფრინავეების ორი მოდიფიკაცია — მიგ-29-CMT და სასწრაფო-საბრძოლო მიგ-29 შეიძინა. 2006-2007 წლებში მან 15 გამანადგურებელი მიიღო, მაგრამ მალე შეეწყვიტა შეკვეთის

მიღება გამოყენებული ხარვეჭების საბაზით. ზოგიერთი ექსპერტის აზრით, ეს ნაწილობრივ პოლიტიკური გადაწყვეტილება იყო.

„ალკირული“ საბრძოლო თეთიმფრინავეები რე სამხედრო-საჰაერო ძალების ველაზე თანამედროვე მანქანები არიან; რე სამხედრო-საჰაერო ძალების განკარგულებაშია სხვადასხვა მოდიფიკაციის დაახლოებით სამასი მიგ-29, რამდენიმე მათგანი შეარაღებაში 1993 წელს მივიდა. „ალკირული“ მიგ-ებს ნაფრენი აქვთ 80-ზე მეტი საათი, მაშინ როცა მათი საფრენი რესურსი 2,5 საათს შეადგენს, ანუ 20 წელიწადს.

## ინდოეთის სამხედრო-საზღვაო ძალების ერთადერთი ავიამზიდს წყალში სახელმწიფო გემთმშენებელ კვანძზე გარემონტების შემდეგ წყალში ჩაუშვეს. სატომონტი საშუალოები წელსაღმადგურა მიმდინარეობს და ორ თვეში ინდური ავიამზიდი ფლოტის საბრძოლო შემადგენლობას დაუბრუნდება.

ფლოტში ხომალდის დაბრუნების შემდეგ, ხანამ ის საბრძოლო ამოცანების შესრულებას შეუდგებოდა, სამხედროების დასამატებით გამოცდას ჩაუტარებენ. ეს იმით არის განპირობებული, რომ „ვირაატი“ უკვე „ხანდაშეულია“ — თითქმის 50 წელია ექსპლუატაციაშია, მაგრამ ინდოელი სამხედროები მის გამოყენებას კიდევ 50 წელს აპირებენ.

1959 წლიდან ის დიდი ბრიტანეთის სამხედრო-საზღვაო ძალების შემადგენლობაში იყო „კერმუისის“ სახელწოდებით. ინდოეთმა მოქველებული ხომალდი 1989 წელს იყიდა.

ინდოეთის სამხედრო-საზღვაო ძალების შემადგენლობაში „ვირაატის“ დაბრუნებას „ვიკრამადიტას“ მიწოდების შეყოვნებით ხსნიან. ეს უკანასკნელი მოდერნიზაციას რუსეთში, საწარმო „სკეამში“ გადის. „ვიკრამადიტა“ საბჭოთა კავშირის სამხედრო-საზღვაო ფლოტის საკუთრება იყო, შემდეგ კი პოსტსაბჭოთა რუსეთის ფლოტის და ცნობილი იყო როგორც ავიამზიდი ტანკერი „ადმირალი გორეშკოვი“.

ინდოელი სამხედროები ვარაუდობენ, რომ 2015 წლამდე „ვიკრამადიტას“ გარდა, სამაშულო წარმოების პირველ ავიამზიდსაც მიიღებენ. მისი აკება 2009 წლის ოქტომბერში დაიწყო.

მოდერნიზებული „ვირაატი“ აღჭურვილია ცეცხლის მართვის ახალი სისტემებით, სანავიგაციო მოწყობილობებითა და სხვა ელემენტებით. ინდოელებს პაერსაწინააღმდეგო თავდაცვის სახომალდო კომპლექსებს „აკაშტანსაც“ ახვევ რუსეთი გარემონტებს. ავიამზიდა მიიღო აგრეთვე ისრაელიური წარმოების პაერსაწინააღმდეგო თავდაცვის კომპლექსები Barak-ი და რუსულ-ინდური წარმოების ხომალდსაწინააღმდეგო სურთიანი რაკეტა „ბრამოსები“.

ს ა ტ რ ო მ ი ე ტ ო  
კ ა რ დ ე მ ი ე ტ ო  
ე რ ო ზ ე ს ო ბ  
ბ ი ზ ლ ი ო მ ი ე ტ ო

# ქართული არმიის გაღასტრირება გაასრულებიან თუ დაინიშნა?

## პრეზიდენტმა სააკაშვილმა შეიარაღებული ძალების გაღასტრირება დაიწყო...

ურნალი „არსენალი“ მეექვსე წელია, რაც გამოდის და უკვე მეექვსე თვე დაცვის მინისტრის დანიშნულ გვირგვინს სტატიის დაწერა. მინისტრების ასე ხშირი ცვლა არც ერთი ქვეყნის არმიაში არ იქნებოდა გამართლებული. მართალია, ყოფილმა თვადგვის მინისტრმა სხარულიძემ მინისტრობის ხანგრძლივობით ავლობა წინამორბედ ბეჟუაშვილსა და ბარამიძეს, მაგრამ მთავრით ერთი წელიც კი არ დასცალდა თვადგვის მინისტრის სუარძელში ჯდომა. უკვე აღარ იწყებს, რომ პრეზიდენტ სააკაშვილის გაღასტრირება, უფრო დემოკრატიული დავით სხარულიძე უფრო „შეკარბულად“ ცნობილი ბაჩო ახალაიათი შეეცვალა, მუხრანის აჯანყების შემდეგ იქნა მიღებული.

ავსტოსტრის ომის შემდეგ ქართული არმიის პირადი შემადგენლობის მორალურ-ფსიქოლოგიური მდგომარეობა მნიშვნელოვნად შეირყა. მეტიც, საგაგამოც კი გახდა. პრეზიდენტ სააკაშვილის არმიაში სჭირდებოდა პირი, რომელიც შაკაცი მეთოდებით იმოქმედებდა. სწორედ ამიტომაც დაუნიშნა თვადგვის მინისტრ სხარულიძეს მოადგილედ ბაჩო ახალაია. ერთს დასაჯელ პარტინორეთთან შეთანხმებულად უნდა ემოქმედა,




საქართველოს თვადგვის მინისტრი ბაჩო ახალაია და გაერთიანებული შტაბის უფროსი დევი ქანკოტიძე

მეორე კი შეიარაღებული ძალების „მიდაწმინდას“ დაიწყებდა, რაც ფართო საზოგადოებისთვის ნაკლებად ცნობილი იქნებოდა. მაგრამ მუხრანის აჯანყებამ ამ ტანდემის ეფექტიანად მუშაობა საეჭვო

გახდა, ამიტომაც სააკაშვილმა ბაჩო ახალაიას მოქმედებისთვის კარტ-ბლანში მისცა.

ახლა ველაფური იმზუვა დამოკიდებული, რა ხერხებით იმოქმედებს ახალი თვადგვის მინისტრი. აქამდე წრდილში ყოფნას ამკობინებდა, თვადგვის სამინისტროს საიტზე მისი არც ფოტო და არც ავტობიოგრაფია არ განთავსებულა. უკვე თვადგვის მინისტრის პოსტზე დანიშნის შემდეგ კი ამ ტაქტიკით მუშაობა გაუჭირდება. ის საჯარო პირი უნდა იყოს საზოგადოებისთვისაც, არასამთავრობო ორგანიზაციებისთვისაც და, რა თქმა უნდა, მასმედისთვისაც, რადგან თვადგვის მინისტრი პოლიტიკური ფიგურაა და მის იმიჯზე ბევრი დეტალი მოქმედებს. „არსენალი“ იმედოვნებს, რომ ახალი თვადგვის მინისტრი აღარ ჩაეტყვს თვადგვის სამინისტროს ორჯე შედეგულ კარს და უარს არ იტყვის ომისთვის თანამშრომლობაზე საზოგადოებრივ სტრუქტურებსა და მასმედისთან.

ირაკლი ალადაშვილი



აშშ-ის ელჩი საქართველოში და საქართველოს ექსთავადგვის მინისტრი დავით სხარულიძე

# პირს ევალება სანაპირო ზოლის დასვა

აგვისტოს ომის ერთ-ერთ მწარე შედეგად დაუცველად დატოვებული სანაპირო ზოლი იყო, სადაც რუსეთის არმიამ საბრძოლო მოქმედება შუაფერხებლად, დამხვედრი წინააღმდეგობის გარეშე განახორციელა.

მაგალითად, ოსამჩირის რაიონში შაჟი ზღვის ფლოტის სადესანტო ხომალდებით მე-7 სადესანტო მოიერიშე დივიზიის ქვედანაყოფები ტექნიკასთან ერთად გადმოსხდნენ; აფხაზეთის სანაპიროსა და მიმდებარე წყლებში შაჟი ზღვის ფლოტის ხომალდების გარშემო 50-კილომეტრიანი ე.წ. უსაფრთხოების ზონა გამოცხადდა, რომელმაც საქართველოს ტერიტორიული წყლებიც მოიცვა; რუსმა შედესანტებმა ფოთის სამხედრო პორტში საქართველოს სამხედრო-საზღვაო ძალებისა და სანაპირო დაცვის მცურავის საშუალებები გაანადგურეს, სამხედრო ინფრასტრუქტურა მსოფიარად გამოიყენეს და გაძარცვეს; გაიძარცვა ფოთის სამოქალაქო პორტიც და სხვ.


ეს მწარე ფაქტითი იმის მაჩვენებელია, რომ ქვეყნის სანაპირო ზოლს დაცვის ფუნქციანი და მოქნილი სისტემა ესაჭიროება. ამ სახის ამოცანებს ტრადიციულად სანაპირო დაცვის ძალები ასრულებენ, სადაც სტაციონარული და მობილური სარტყილერიონარაეტრო ქვედანაყოფებია გაერთიანებული.

სანაპირო საცეცხლე საშუალებების მთავარი დანიშნულება — სამხედრო-საზღვაო ბაზების, საეჭრო პორტების, სანაპირო ზოლში განლაგებული სამრეწველო თუ ადმინისტრაციული ცენტრების, ზოლო ომის პირობებში კი დანაშაული რაიონების, სანაპირო კომუნიკაციებისა და სანაპიროს დესანტ-საშუი მონაკვეთების დაცვაა.

გასულ საუკუნეებში სანაპიროს დაცვის ასეთი სისტემა თვის დანიშნულებას, ასე თუ ისე, ასრულებდა.

პირველი მსოფლიო ომის დროს ბათუმის მისადგომები „მიხეილის“ ციხესიმაკრის ფორტებითა და ბატარეებით იყო დაცული.

ბათუმთან განლაგებულ სანაპირო ბატარეებში შედიოდა: 4 — 152 მმ-იანი კანეს ქვემები (სროლის სიშორე 11,1 კი-



1 მსოფლიო ომში კავკასიის სანაპირო სარტყილერიო ბატარეებით იყო დაცული

ლომეტრი, წუთში 4 გასროლა), 18 — 152 მმ-იანი ქვემები 190-ფუთიანი ღურღიახერის დაზგაზე (სროლის სიშორე 12,0 კილომეტრი, წუთში 1 გასროლა), 12 — 57 მმ-იანი ნორდფელდის ქვემები, 22 — 229 მმ-იანი მსუბუქი 1877 წლის მოდელის მორტირა (სროლის სიშორე 3,0 კილომეტრი).

XIX საუკუნის მეორე ნახევარში შექმნილი ეს ქვემები იმ დროისათვის უკვე საკმაოდ მოძველებული იყო და თურქეთის ფლოტის შემადგენლობაში შემავალ გერმანულ სახაზო კრეისერ Goeben-ის 280 მმ-იან ქვემებს სროლის სიშორითა (19,1 კილომეტრი) და სისწრაფით (წუთში 3 გასროლა) ჩამოუვარდებოდა.

საინტერესოა, რომ 1909 წელს



152მმ-იანი კანეს ქვემები

რუსეთის მაშინდელი სამხედრო მინისტრ ვლადიმერ სუხოპლენივის ბრძანებით მიხეილის ციხესიმაგრე გაუქმდა, მაგრამ ბრძანება სრულად არ შესრულდა და არტილერიიდან მხოლოდ ძველი 280 მმ-იანი 16 ქვემები გაიტანეს.

1910-13 წლებში ახალი სანაპირო ბატარეების დაყენება დაიკვამა, რომელიც 356 მმ-იან ორქვემებიან ორ კომპლანსა და 152 მმ-იან ორქვემებიან ქვეს კომპლანს გააერთიანებდა.

მოგვიანებით გვგმა შეიცვალა და 356 მმ-იანი ქვემები უფრო მაღალი მზადყოფნის 305 მმ-იანი ქვემებით შეიცვალა.

ომის დაწყებას ქვემების დასაყენებელი ქაბულის მომზადება დაემთხვა და



**ბათუმის პორტი  
გასული საუკუნის  
დაბანების**

ციხესიმაგრის არტილერიის გასაძლიერებლად კრონშტადტიდან სასწრაფოდ და დანადგარაირი 254 მმ-იანი ქვემეხი გამოიგზავნა. რუსეთის საზღვაო-სახმელეთო სარდლობა თვლიდა, რომ კავკასიის სანაპიროს დაცვაში მიხეილის ციხესიმაგრე პირველხარისხიანი როლს შეასრულებდა. ეს შეფასება სწორი იყო, მაგრამ მოქველებული არტილერია ამის რეალიზების პირობებს ვერ იძლეოდა. 254 მმ-იანი ქვემეხების მონტაჟი მიმ-

დინარეობდა, როცა 10 დეკემბერს (ახალი სტილით) ბათუმთან სახაზო კრეისერი Goeben-ი და თურქული სანადმო კრეისერი Peik-i-Shevket-ი გამოიჩინა. რუსებს Goeben-ის პანიკურად ემინოდათ და ამას მიზეზიც ჰქონდა, — შვეი ზღვის ფლოტის ცალკე აღებულ არც ერთ ჯაგუშოსანს გერმანულ სახაზო კრეისერთან გამკლავების ძალა არ შესწევდა. 12 საათზე ბათუმიდან რადიოსად-

გურმა ეთერში გადასცა, რომ გერმანული სახაზო კრეისერი ქალაქს მოადგა. ბურუსით დაფარული სანაპირო ცულ ხილვადობის ქმნიდა. ამის გამო Goeben-ი სანაპიროს 14,8 კილომეტრი (81 კაბელტოვი) მიუახლოვდა და 13:39 საათზე სროლა ატეხა, რომელმაც 9 წუთს გასტანა. ხომალდის მთავარი კალიბრის 280 მმ-იანი ქვემეხები 15-ჯერ გაისროლეს. რამდენიმე ტურეი სანაპიროსა და პორტში ჩამორდა, რასაც უმნიშვნელო დაზიანება მოჰყვა. გერმანელი არტილერისტები ცდილობდნენ, ცეცხლი აეცინათ შაჰმადიანებით დასახლებული რაიონებისთვის. ბათუმის ოლქის ჟანდარმერიის უფროსის ინფორმაციით, ქალაქში დაინგრა ორი შენობა, დაიჭრა 5 და დაიღუპა ერთი მოქალაქე. სანაპირო ბატარეებმა სუსტი და უშედეგო საპასუხო ცეცხლი გახსნეს. რუსული ტურეები გერმანულ ხომალდამდე არც აღწევდა. 24-25 დეკემბერს (ახალი სტილით) ბათუმს დამით თურქული ჯაგუშანგე-



**დაცვის პოლიცია**

www.spd.ge

025 025

**ბინა + აგახაჯი**


+

=
135

თუ თქვანი სახმორგაული ბინა მდებარეობს თბილისში და დაცულია სიგნალთაპოლიციით #336 მიერ, თქვანე ყოველთვიურ სახმორგებო გადასახადს იხდით 80 ლარს, ხოლო თუ თქვანი ახარაი მდებარეობს წყნეთში, საზარამოში, შინდისში, წავისში, ოქროყანაში, ტაბახმელაში, ბაჟარდანიში, ბორჯომში, ჯავრათში, გონიოში ან სარაში და დაცულია ახვან სიგნალთაპოლიციით - იხდით 100 ლარს, რაც ახში 180 ლარს უდრის.

თუ თქვანე ისარგებლებთ #336-ის ახალი სერვისით "ბინა+აგახაჯი", თქვანე ბაჟალაბათ სახმორგაულად ართვლორულად დიხვათ ბინა და ახარაი **135 ლარად**

**დაგვიხაპირდით ნომარა : 025**

და მიულთ დამაბაბითი იხვორგაბა 24 საათის ბანავალთაბათ.



ბანიანი კრეისერი Hamadiye 45-50 კაბულტოით (8,2-9,2 კილომეტრი) მიუახლოვდა და განათებული რაიონებისკენ რამდენჯერმე ისროლა. ნალმების დობურების შმშით კრეისერის შეთაურმა ნაპირთან უფრო ახლოს მისვლა ვედარ გაბედა.

1915 წლის ზაფხულისათვის მიხეილის ციხესიმაგრეს კიდევ ორი 254 მმ-იანი ქვემები დაემატა და დეკემბრისათვის სანაპირო ბატარეების შეიარაღება ასე გამოიყურებოდა: ფორტი „ბურუნ-თაბიე“ — ოთხი 152 მმ-იანი კანეს ქვემები და დღუმიანი ორი საველე ქვემები, ფორტი „ბარცხანა“ — ორი 254 მმ-იანი და ოთხი 229 მმ-იანი ქვემები, ფორტი „მერნომორსკაია“ — ორი 254 მმ-იანი და ოთხი 152 მმ-იანი ფუთიანი ღურღაზების დაზვიანი ქვემები.

ბათუმთან შედარებით კიდევ უფრო ორთულ მდგომარეობაში იყო ფორტი, რომელსაც მხოლოდ სველე არტილერია იცავდა.

1914 წლის 7 დეკემბერს ფოსი 7:20 საათზე გერმანული მსუბუქი კრეისერი Breslau მოადგა და 2000-2500 მეტრიდან (11-14 კაბელტოვი) 105 მმ-იანი 81 ჭურვი გაასროლა. პორტში ამ დროს გემები არ იდგა და 40-წუთიანმა დაბომბვამ ციურე დაზიანება მოიტანა.

დაზიანდა 2 აწწე, რამდენიმე საწეობი დაიწეა და შუქურასთან ძველი ფორტი ოდნე დაინტრა. საპასუხო ცეცხლი შაშხანებით გაიხსნა. მივკანიებით საველე არტილერია ჩაერთო, მაგრამ უშედეგოდ, რუსული მონაკემებით, რამდენიმე კაცი დაიჭრა და დაიღუპა.

საქართველოს პირველი რესპუბლიკის დროს, 1918 წლის გაზაფხულზე, მიხეილის ციხესიმაგრის არტილერიის გამოყენებით თურქების შემოტევის შეჩერება სცადეს. ქართულ არმიში დისციპლინისა და თვდაცვის სწორად ორგანიზების შემთხვევაში მოწინააღმდეგის დიდი ხნით შეჩერება მართლაც შეძლებოდა, მაგრამ ასე არ მოხდა და 1918 წლის 14 აპრილს თურქებმა ბათუმი დაიკავეს.

1918 წლის დეკემბერში ბათუმში ინგლისის ჯარები შემოვიდნენ. მათ აქ 1920 წლის ივლისამდე დააქვეს. ბრიტანელებმა ბათუმიდან გასვლისას გაიტანეს ან ააფეთქეს ფორტი „ბარცხანას“ არტილერია, ვარდა ამისა, რამდენიმე ათეული ქვემების საკეტი და უპირავი ჭურვი ზღვაში გადაყარეს, ხოლო სამიონების სამარჯვეები გაანადგურეს.

საბჭოთა ხანაში დაიწყო ბათუმის სანაპირო ბატარეების აღდგენა-გადართვა და 1932 წლისათვის შვეი



5788-იანი ნორდგეფელდის ქვემები

ზღვის ფლოტს საზღვაო სამიონებთან საბრძოლველად მიხეილის ციხესიმაგრის ფორტების დია მოედნებზე 152 მმ-იანი ოთხქვემებიანი სამი ბატარეა (№31, №41 და №51) ჰქონდა. საპაერო თვდაცვის №59 ბატარეის 1900 წლის მოდელის ოთხი 76 მმ-იანი საზენიტო ქვემები უსრუწეწელოფდა.

ივგეუმბოლა დამატებით 152 მმ-იანი და 76 მმ-იანი ქვემების განლაგება, რაც არ შესრულდა.

საზღვაო საფრთხის შემცირებასთან ერთად მიხეილის ციხესიმაგრის ფორტებმა მნიშვნელობა დაკარგეს და ამიტომაც ოქიდან ქვემები მოიხსნა.

მთერ მსოფლიო ომის წინ სოფელ ურუბთან მწეობრში შეედა 180 მმ-იანი ოთხქვემებიანი №431 სანაპირო დაცვის ცალკეული ბატარეა. ბატარეის ქვემები დია მოედნებზე რკინაბეტონის კაპონირებით იყო დაცული.

ომის დროს ბეერად დიდ საფრთხეს მოწინააღმდეგის წყალქვეშა ნაეები ქმინდნენ და საქართველოს მთელი სანაპირო

საარტილერო ბატარეებით დაიფარა.

ბატარეები განლაგდა ქობულეთთან, ანაკლიასთან, ფოთთან, ორამშორისთან, კოდორთან, სოხუმის შუქურასთან, ახალ ათონთან, გუდაუთასთან, ბოშორასთან, მიუხერასთან, ბიჭვინთისთან, გაგრასა და განიაღთან. თითოეული ბატარეის შემადგენლობაში წერილი და საშუალო კალიბრის (45 მმ-იანი, 76 მმ-იანი და 85 მმ-იანი) 1-4 ქვემები შედიოდა.

დადასტურებულია სანაპირო ბატარეებისგან წყალქვეშა ნაეის შეტევის მოგერების ერთი შემთხვევა.

1944 წლის 16 ოტებრვალს გერმანულმა წყალქვეშა ნაემა ბათუმის შიდა ნაეის სცადა სატრანსპორტო გემ „პესტელოს“ ტორპედირება. სანაპირო ბატარეის ცეცხლმა გერმანულ მესვავურებს ახლოს მისვლის საშუალება არ მისცევს და ტორპედო მიხნიდან 200 მეტრის დაშორებით აფეთქდა.

თიშურ ჩაჩანიძე

(დასასრული შემდეგ ნომერში)



მიხეილის ნორდგეფელდის ციხესიმაგრის ჯერ კიდევ დარჩენილია

# სოსხეი ზღვაზე კაღის გაგოყენებით იმუქრება



თურქული გემი ქართული სანაპირო დაცვის  
კატარღების ესკორტის თანხლებით ფოთში მიემართება

სეპარატისტული ხელისუფლების გაღიზიანება წყენი სანაპირო დაცვის მუშაობამ გამოიწვია. მიმდინარე წელს საზღვაო შესაზღვერებმა აფხაზეთის პორტებში საქართველოს კანონმდებლობის დარღვევით მოცურავე რვათი მებურე გემი დააკავეს.

16 თებერვალს დააკავეს თურქული სეინერი **Pala Reis**-ი, რომლის ბორტზე აფხაზეთის მიმდებარე წყლებში დაჭერილი 501 ტონა ქაფშია აღმოჩნდა.

6 აპრილს საქართველოს სასაზღვაო კატარღებმა ნეიტრალურ წყლებში სოხუმის პორტიდან გამოსული თურქული ტანკერი **Denfa Demet**-ი 10-კაციანი ეკიპაჟით აიფანეს. ტანკერმა სოხუმის პორტში 4-ჯერ, სულ 4030 ტონა საწვავი შეიტანა.

30 აპრილს სეირა-ლეონეს დროშით მოცურავე თურქული მშრალტვირთომხიდი **New Star-1** დააკავეს, რომელმაც თურქეთიდან აფხაზეთში სამშენებლო მასალები და ღირის ხორცი გადაიტანა.

17 აგვისტოს სასაზღვაო პოლიციის სანაპირო დაცვის მცურაგმა საშუალებებმა დააკავეს სოხუმისაკენ მიძავალი 2000 ტონა ბენზინითა და 700 ტონა დიზელის საწვავით დატვირთული ჰანაძის დროშით მცურავე თურქული ტანკერი **Buket**-ი.

20 აგვისტოს კი ქართულმა კატარღებმა ფოთში ესკორტირება გაუკეთეს კამპუნიის დროშით მოცურავე მშრალტვირთომხიდი **Afro Star**-ს, რომელიც სოხუმიდან 1255 ტონა შვიი ლითონის ჯარივით გამოიდა.

სეპარატისტთა პრეზიდენტი სერგეი ბაღაღუმი საქართველოს „პრობორციულ“ პასუხად „დაეშუქრა, ხოლო სოხუმის საგარეო უწყების ხელმძღვანელმა სერგეი შამაძემ კი ქართული პორტებისაკენ მოცურავე გემების დაკავება არ გამოიტანა.

აფხაზეთის პორტებში სატვირთო გემების უკანონო მიმოსვლას ქართული

საზღვაო შესაზღვერები 1998 წლიდან ებრძებიან.

საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებების თანახმად, სოხუმის საზღვაო ნუსადგური, პორტუნქტები, საზღვაო აკატორია და საქართველო-რუსეთის საზღვრის აფხაზეთის მონაკვეთი საერთაშორისო გადაზიდვებისათვის დახურულია.

საზღვაო გზით აფხაზეთში ტვირთის შეტანა საქართველოს შესაბამის სტრუქტურებთან შეთანხმებით, ფოთში საბაჟო თუ სხვა სახის შემოქმეპათა აკვლის შემდეგ არის დაშუებული. სხვა შემთხვევაში, გემებს დააკავებენ.

პირველი გემი — თურქული მშრალტვირთომხიდი **Mithad Eregli**-ი 1999 წლის 29 თენისს დააკავეს, მაგრამ სამი კვირის შემდეგ პრეზიდენტ ედუარდ შევარდნაძის რეზოლუციის საფუძველზე გემი და ეკიპაჟი გაათავისუფლეს.

კიდევ კარგა ხანს გაგრძელდა დაკავებული გემების გათავისუფლება სიმბოლური ჯარიმების გადახდის ან ფოულგვარი პასუხისმგებლობის გარეშე, გემების კაპიტნები ხშირად საქართველოს კანონმდებლობის უციოდინარობით აპელირებდნენ.

2001 წლის 11 სექტემბერს საზღვაო შესაზღვერებმა თურქული მშრალტვირთომხიდი **Ildiz-1** დააკავეს, რომლის ბორტზე 918 ტონა ქვანახშირი, 100 ათასზე მეტი დილდარი და რამდენიმე არალეგალური ემიგრანტი აღმოჩნდა.

ქუთაისის საქალაქო სასამართლომ კაპიტნის 7-წლიანი პატიმრობა მოსაჯა, ხოლო ტვირთი და ამიღებული თანხა საქართველოს ბიუჯეტის სასარგებლოდ განისაზღვრა.

ისევ ედუარდ შევარდნაძის შეწყალებით გემის კაპიტანი გათავისუფლდა, ხოლო ტვირთმფლობელს ქვანახშირი და ფული დაურუნდა.

აფხაზეთი საქართველოს ნაწილია, ხოლო უკანონო საზღვაო მიმოსვ-

ლა კონტრაბანდული ტვირთის შეტანასა და სხვა დანაშაულებრივ ქმედებებთან არის დაკავშირებული.

ხშირად აფხაზეთიდან კონტრაბანდული ტვირთი, განსაკუთრებით თურქული სივარტები, საქართველოში შემოდის. ისევე როგორც ჯართი, რომელიც ჩვენიან უფრო მეტად ფსობდა.

სულ ორი შემთხვევა არის ცნობილი, ისიც 10 წლის წინანდელი, როცა თურქულმა გემებმა საბაჟო შემოქმეპა ფოთში გააარეს. ერთ შემთხვევაში შესაზღვერებმა მაკარინით, ვრმისულითა და ხახვით დატვირთული გემი სოხუმისკენ გაატარეს. მეორე შემთხვევაში ტანკერს ჰუმანიტარულ ტვირთად გაფორმებული ბუნზინი გადაჰქონდა, ამიტომ თურქებს უკან გაბრუნებამ მოუწიათ.

სოხუმიდან ქართული სასაზღვაო კატარღების თუ ჩვენი პორტებისაკენ მიმავალი საერთო გემების ჩამორედაკავებით 1998 წლის თლისიდან გამოღმებით იმუქრებიან.

დაპირისპირებამდე ჯერ საქმე არ მისულა, მაგრამ საზღვრის დამრღვევი გემებისათვის ცეცხლის გახსნა და აფხაზეთის სანაპიროს ახლოს დაკავების შემთხვევებიც ყოფილა.

წინა წლებში საშუალოდ 2-3 გემის დაკავება თუ მოზრხნდებოდა. ამას შეიძლება ახსნა მოეკებნოს, კაპიტნები ცურვისათვის მარტულ და საიძლე სქემას იყენებდნენ: საქართველო-რუსეთის საზღვრამდე ვ.წ. აფხაზეთის ტერიტორიული წყლებში 12 მილის სტრანქში სანაპიროს მიუყვებოდნენ და რუსეთის წყლებიდან კურსს საჭირო მიმართულებით იღებდნენ.

ამ სქემით წლების განმავლობაში შეუფერხებლად მუშაობდნენ, მაგრამ იზრდებოდა გემების საექსპლუატაციო ხარჯი.

1999-2008 წლებში დაახლოებით 24 საეპტრო გემი, ტანკერი თუ თევზჭერი

სეინერია დაკავებული, საიდანაც 11 თურქეთის, 4 უკრაინის, 3 რუსეთის, 2 კამპუჩიისა და თითო-თითო ესტონეთის, საბერძნეთის, მოლდოვეთისა და ბულგარეთის დროით დაეკურავდა.

კომპანია „აბხაზსკოე მორსკოე პარ-ოხოდსტვოს“ ინფორმაციით, მაშინვე სა და სოხუმში სატვირთო გემები წყლიწადში დაახლოებით 100-120-ჯერ მანც შედინა.

აფხაზეთი-თურქეთის საზღვაო ხაზზე ერთი და იფვე გემები დაეკურავს, ხოლო თითოეულის დაკავებაზე, ტვირთბრუნვის შემცირებასთან ერთად, სოხუმში მტკიცე-წელად რეაგირებს.

სეპარატისტული ხელისუფლება თურქეთთან პირდაპირი საზღვაო ხაზის ამოქმედებას ცდილობს. ასეთი ხაზი 1998 წლამდე მუშაობდა და სოხუმს ტრაპიზონთან აკავშირებდა.

თურქეთში აფხაზ მუჰაჯირთა ბევრი შთამომავალი ცხოვრობს და სოხუმის აზრით, პირდაპირი საზღვაო მიმოსვლა სხვა ქვეყნებში მცხოვრებ თანამემამულეებთან კავშირს ბევრად გააიფლებდა.

„არსენალი“ უმცეს წერდა, რომ ირამხირის პორტში „აბხაზსკოე მორსკოე პაროხოდსტვოს“ და თურქული ქვანახშირის მომარტებული კომპანია Tamsah-ი ფსკერის გაღრმავების ერთობლოდ სამუშაოებს ატარებენ. კომპანიის მფლობელები თურქეთში მცხოვრები აფხაზი მუჰაჯირები არიან.

Tamsah-მა რამდენიმე წელა ტყვარჩელთან ქვანახშირს მოიპოვეს და მრავალი სიღრმის მიუხედავად ქვანახშირის წარმოება ფოკლოტის მომგებიანი არ არის), აფხაზეთი მანც არ დატრეა და წარმოებას აფართოებს.

Tamsah-მა ირამხირის პორტში ფსკერის გასაღრმავებელი სპეციალური მინამწერი შემოიტანა. სამუშაოები, ალბათ, ოქტომბერში დასრულდება და 9 მტრის



სიღრმეზე გაღრმავებული ირამხირის პორტი 10 ათასამდე წყალქვეშა გემებს მიიღებს.

ჩანს, თურქულმა კომპანიამ დაგეგმილ მანქნებებს მიაღწია და ირამხირიდან წელიწადში 100 ათასი ტონა ქვანახშირის გატანას აპირებს.

ცოტა ხნის წინ ცნობილი შეიქნა, რომ ბაღდადში რუსულ „არსენალიტან“ ნავთობის საძიებო სამუშაოებზე ხელშეკრულების გაფორმებას გეგმავს, რასაც ზღვის ფსკერის გეოლოგიური კვლევებისათვის საჭირო სპეციალზებული ტექნიკური სამუშაოების შემოყვანა მოჰყვება.

საქართველოს ხელისუფლებასთან შეთანხმების გარეშე საქართველოს სანავიგაციო მუღმეში ნავთობის საძიებო სამუშაოთა წარმოება სიტუაციის გამწვავების კიდევ უფრო დიდი მიზეზი იქნება, ვიდრე თურქული გემების დაკავება.

*P.S. 28 აგვისტოს რუსეთის ფედერალური უშიშროების სამსახურის სასაზღვაო სამსახურის უფროსის მიაღვილის გენერალ-ლეიტენანტ ვიკენი ინ-*

ჩინის ვანცხადებით რუსეთის სანავიგაციო დაკვის ძლები დაეკურნ ე.წ. აფხაზეთის 12 ძლის სივანის ტერიტორიულ წყლებში შემოკლ გემებს და ამის მიზეზად სოჭის ოლიმპიური თამაშებისათვის მზადება დაასახელა. ძისი თქმით გემების ხელშეუხებლობის დაცვა „კომპლტურად და პროდუქტიულად“ მოხდება.

საკლებად მოსილიდნელა, რომ რუსმა საზღვაო მესაზღვრეებს საეჭრო გემების ბაღდავი აფხაზეთის პორტებიდან მესხე ქვეყნის ტერიტორიულ წყლებამდე განახორციელონ.

ჩვენი სანავიგაციო დაკვა აფხაზეთის პორტებისაგნ მხმავალ ან იქიდან გამოსულ გემებს ძირითადად ნეიტრალურ წყლებში ამ ფოთში შემოსვლისას სანავიგაციო ფუნქციის ჩანაწერების საფუძველზე აკავება, ამიტომ დაძისისპორტის სამშრობა დადი არ არის.

ვიფელ შემთხვევაში აფხაზეთთან საზღვაო ვაჭრობაში შემწეული ზოგერთი ქვეყნის შესაბამის სამსახურებთან ამ საკითხის გარშემო მოლაპარაკების გაძრევა ურიოვ არ იქნება.

**თამაშერ ჩაჩანიძე**

**ამ გემებს აბლა აუქციონზე გაყიდვა მოეღის**



# მოერიდეთ ფეთქავსაშიშ საგნებს!

**ფრთხილად ნაღვია!**



ასეთი  
საგნები  
ფეთქებადი  
და უფრთხილი

ფეთქებადსაშიშ საგნებით დაბინძურება საბჭოთა და რუსი სამხედროების ყოფნის, წარსული ომებისა თუ კონფლიქტების მძიმე შედეგია, რომლის დაძლევაზე ახლა ხანგრძლივი დრო დასჭირდება.

საბჭოთა და შექმდომში რუსეთის არმიის ყოფილი სამხედრო ობიექტების ტერიტორიები: საგარეოში, მცხეთაში, ვახანში, თელავში, ოსიურში, კოპიტნარში, ხელვაჩაურში, ქობულეთსა და ახალქალაქში საქართველოს ქვეითსაწინააღმდეგო ნაღმებითა და სარტყილური ტერაპიებით დაბინძურებული გადმოსცეს.

რუსი სამხედროები არაღ ავლებდნენ საქართველოს ბუნებას და ზოგიერთი ობიექტის ტერიტორია დამატებით საწვავისა და სახეი-საბო მასალებით დაბინძურეს.

დაინაღდა აფხაზეთში მდინარე გუმიხისა და კალის რაიონი ენკურის სანაპიროები, ომშიარე და სხე.

ყარაბაღის ომის გამო დანაღმული დარჩა წითელი ხიდის მიმდებარე ტერიტორია, მაგრამ დაუდასტურებული მონაცემებით ახლა ის ადგილები მოსახლეობისათვის საფრთხეს აღარ უნდა წარმოადგენდეს.

დღემდე დაბინძურებული რეგება საქართველო-რუსეთის საზღვრის ახლოს ომაღის რაიონი, სადაე 1999 წლის აგვისტოში ჩეჩნეთის II ომის დაწყებისას რუსულმა თვითმფრინავებმა დიდი რაღენობით ქვეითსაწინააღმდეგო ნაღმები ჩამოყარეს.

თოელი მღვომარეობა შეიქნა საგარეგოსთან მღებარე რუსეთის არმიის ყოფილ 430-ე საინჟინრო საწყოების ტერიტორიაზე, სადაე ხანგრძლივი დროის მან-

ძილზე დიდძლი სხედასხე სახის ნაღმი ინახებოდა. III კექტარი მიწა დაბინძურებულია ადამიანებისათვის საშიში ისეთი ფეთქებადი საგნებით, როგორც არის ქვეითსაწინააღმდეგო ПМН-ის, ПМН-2-ის, ПФМ-1-ისა და ПОМЗ-ის ტიპის ნაღმები.

ფეთქებადსაშიშ საგნებით დაბინძურებული ყველა ტერიტორია გამაფრთხილებული ნიშნებითა და აღნიშვნებით არის მონიშნული. მიუხედავად ამისა, ადგილობრივი მოსახლეობა ნიშნებს იპარავს, გაფრთხილებას ყურად არ იღებს და აკრძალულ ტერიტორიაზე ჯარისის შესაგროვებლად მინც შედის, რაც ყოველწელს რაღდენიმე უბეღური შემთხვევის მიზეზი ხდება.

**შეიღობიან დროს ფეთქებადსაშიშ საგნებით დაბინძურებული ტერიტორიის გასუფთავებით ანუ პუმანტარული გა-**

ნაღვით, სუეციალიზებული სამოქალაქო ორგანიზაციებმა დაკავებულა.

პუმანტარული განაღმების მიზნია სამოქალაქო მოსახლეობის საარსებო გარემოს ფეთქებადსაშიშ საგნებისგან გაწმენდა და უსაფრთხოების სრული გარანტია, რაც ედე დროს, სათანადოდ მომზადებულ სუეციალისტებსა და აღჭურვილობას მოითხოვს.

სრულიად განსხევეებულია სამხედრო გამაღმდეგლების ფუნქციები, რომელიე უპირველესად საბრძოლო მოქმედებებთან გამამდინარე დროის შეზღუდულ მონაკვეთში დანაღმულ ტერიტორიებზე ჯარებისათვის უსაფრთხო გასახელების შექმნასთან არის დაკავშირებული.

სენს მებობელ აზერბაიჯანში პუმანტარულ განაღმებაზე აზერბაიჯანის ეროვნული სააგენტო **Anama 1998** წლიდან მუშაობს და ბოლო მონაკვეთებით 80393795 კეადრატული მეტრი ტერიტორია გაწმენდა. გააუფრთხელეს 387821 ნაღმი და აუფეთქებული საბრძოლო მასალა. სამუშაო ტერიტორია ტერაპიის, აღღამის, ფიზილის, გაზახისა და აღსტაფის რაიონებს მოიცავს. ფელისში აზერბაიჯანში ფეთქებადსაშიშ საგნებზე სამი კაცე აფეთქდა.

საქართველოში და კერძოდ, აფხაზეთში, 1997 წლიდან პუმანტარულ განაღმვით სამუშაოებს ბრიტანული ამერიკული ორგანიზაცია **The Halo Trust**-ი ატარებს.

ქართულმა არასამთავრობო ორგანიზაციებმა ამ საქმეში სხეა სერთაშორისო გამაღმდეგლი ორგანიზაციების

## ნუ შეგვიღოთ აკრძალულ ტერიტორიაზე



ნართივე სცადეს, მაგრამ ასეთ პროექტებში ფინანსურმა დაინტერესებამ საქმე გადასცლია.

რუსი სამხედროების დატოვებული გველა ობიექტის ჰუმანიტარული განაღმვა დაახლოებით 2 მილიონი დოლარი დაჯდება. გასული წლის დასაწყისში წითელი ხილის მიმდებარე რაიონისა და საგარეო საინჟინრო საწარმოების ტერიტორიის ჰუმანიტარული განაღმვა დაიგეგმა.

მოლაპარაკება The Halo Trust-თან მიმდინარეობდა, მაგრამ აგვისტოში რუსულმა აგრესიამ ვითარება ძირფესვიანად შეცვალა.

ფოტოებდასაშვში საგნებით დაბინძურების ახალი კერები მას შემდეგ გაჩნდა, რაც რუსმა სამხედროებმა სხვადასხვა საშუალებით დაბომბეს: ცხინვალი და მასთან მდებარე სოფლები, გორი და გორის რაიონის სოფლები, სენაკი, ზუგდიდის რაიონის სოფლები, ფოთი, კობიტარის აეროდრომი, თბილისის აეროპორტის მიმდებარე ტერიტორია, საავიაციო ქარხნის აეროდრომი, ვაშლიანის სამხედრო ბაზა და ბგრეი სხვა სამხედრო თუ სამოქალაქო ობიექტები.

დადასტურებულია, რომ აგვისტოს ომში მოწინააღმდეგე საბრძოლო მოქმედებებში გამოიყენა: ოპერატიული-ტაქტიკური დანაშაულების რაკეტები (Точка У и Искандер-ი), საავიაციო ფედასური ბომბები (ФАБ-200, ФАБ-250, ФАБ-500), ბურთულებიანი მსხვერველი ავიაციის (ШОАБ-0,5), ტანკსაწინააღმდეგო ავიაციის (ПТАБ-2,5 და ПТАБ-1,0), სხვადასხვა სახის საარტილერიო ჭურვები, ტანკსაწინააღმდეგო მართვად რაკეტები, ხელის ტანკსაწინააღმდეგო უკუბარსატორენტები, სხვადასხვა კალიბრის ნაღმსატორენტები და ა.შ.

გარდა ამისა, რუსმა სამხედროებმა დანაღმეს ხიდები, გზები და სხვა ობიექტები, ხოლო საბრძოლო მოქმედებათა შედეგების შემდეგ კი უკანონოდ შექმნილი პოსტების მისაღობები.

საქართველოს ზოგიერთი რაიონიდან რუსების გასვლის შემდეგ ბგერი აუფეთქებული საბრძოლო მასალა დარჩა. დროთა განმავლობაში საგნების მდებარეობა იცვლება, — ზოგი მისწის ფენით, ზოგიც - მცენარეებით იფარება და მათი მოძებნა ძალიან რთულდება. ეს საგნები შეტყვილად ინარჩუნებენ ფეთქებად თვისებებს და მოსახლეობას დიდ საფრთხეს უქმნიან.

ფოტოებდასაშვში საგნებით გამოწვეული საფრთხის მნიშვნელობა თავდაცვის უწყებამ ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტად დასაზღაურა და მტერი ქვეყნის ტერიტორიიდან

**საქართველოდან გასულ რუსებს The Halo Trust-ის გამანადგმელები ფეხდაფეხ მოჰყვებიან**



გერ გასულიც არ იყო, როცა სამინისტროს ხელმძღვანელობასთან განაღმვის გეგმა შეთანხმდა.

როგორც კი შესაბამისი პირობები გაჩნდა, თავდაცვის სამინისტროს საინჟინრო ბატალიონმა შინაგან საქმეთა სამინისტროს შესანგრეთა დანაყოფებთან ერთად პირველ ეტაპზე ე.წ. საგანგებო სამხედრო განაღმვა ჩაატარეს. ამ ოპერაციებზე „არსენალი“ რამდენიმე თვის წინ წერდა...

დადგინდა პირველი ფოტოებდასაშვში საფრთხეები, რომელიც ენოქურად ჩანდა და დროულ გაუქნებლებას მოითხოვდა.

2-3 თვეში საინჟინრო ბატალიონის თითოეულმა ოფიცერმა თუ ჯარისკაცმა მშენი აღჭურვილობით უზარმაზარი სამ-

უშია გასწია და ფოტოებდასაშვში საგნების მნიშვნელოვანი რაოდენობა გააუქნებდა. სამწუხაროდ, ეს არ აღიწინდა საქარის იმისთვის, რომ მოსახლეობაში უტყდური შემთხვევები გამოიციხულიყო.

ბატალიონის მადლ შხადიფონასა და ოპერატიულობაზე გორის სამხედრო ბაზის მაგალითიც გამოდგება, რომელიც ოკუპანტებმა მოლიანად დანაღმეს და თითქმის ყველა საფრთხი სვეტი ასაფრთხილად მომზადებული დატოვეს.

რუსების ბაზიდან გასვლა და წყენი გამანადგმელების შესვლა ლამის ერთდროულად მოხდა. რამდენიმე დღეში ბაზის ტერიტორია, შენობა-ნაგებობები ჩვენი სამხედროებისათვის უსაფრთხო გახდა.

თავდაცვის სამინისტროს გამანადგმელებმა 250-დან 1500 კილოგრამამდე წო-

**ზაღბური ცეცხლის სისტემა „ურაგანის“ ჭურვი**





9H210-ის ტაიპის კასეტური ელემენტები

საინფორმაციო მენეჯმენტისა და განვითარების პროგრამა (IMMAP), სადაც თავს იფარის ყველა ინფორმაცია, იქმნება ერთიანი საინფორმაციო-კარტოგრაფიული რუკები.

საქართველოს ხელისუფლება დაინტერესებულია, რომ პუბლიცისტული განაღმე რუსების ოკუპირებულ ტერიტორიებზე ჩატარდეს, მაგრამ ადგილობრივი მართებელი რეჟიმები შეთავაზებაზე, ჯერჯერობით დადებით პასუხს არ იძლევიან.

საგანგაშო მდგომარეობა ცხინვლის რეგიონში, სადაც უამრავი ფეთქებადსაშიში საგანი ვიზუალურად მოჩანს და შექცევადი მათი გაუვნებლობა ბევრად გართულებდა.

განსაკუთრებით საშიშა კასეტური (ბურიულეზიანი) ელემენტებით დატენილი საბრძოლო საშუალებები. საერთაშორისო ორგანიზაცია Human Rights Watch-ის წარმოდგენილი ანგარიშით, შარშან, აგვისტოში, რუსეთის ჯარების მიერ გორისა და ქარელის რაიონის სოფლებში ჩამოყრილი კასეტური საბრძოლო მასალებისაგან 12 კაცი დაიღუპა და 46 დაჭრა.

რუსულმა ავიაციამ რამდენჯერმე გამოიყენა БКФ-АО 2,5PT ტაიპის მსხვერველი ბომბების ბლოკები დატენილი РБК-500 და РБК-250 ტაიპის ავიამობლები, ხოლო არტილერიამ კი — 9H210 ტაიპის ელემენტებიანი "ზალპური ცეცხლის რეაქტიული სისტემა „ურაგანს“ ჭკურები.

კასეტური ელემენტებით დაბომბა გორი Искандер-ის ტაიპის რაკეტამ, ხოლო ფიოშიმ ჩამოყრდინილი Точка У-ს ტაიპის რაკეტების საბრძოლო შემცველობა დღემდე დაუდგენელია.

**ობის შედეგად ფეთქებადსაშიში საგნების**

ნის 222 ავიამობი, 830 კასეტური ელემენტი, 4 ტონაზე ექვივალენტის ფეთქებადი ნივთიერება, 378 კალაგრაბი ტროტლი, 20 თაისზე მეტი აუფეთქებული და აუფეთქებელი საბრძოლო მასალის ერთეული გაუვნებლეს.

თავდაცვის სამინისტროს სურვილია, რომ უახლეს წლებში ფეთქებადსაშიში ნარჩენების რისკი სრულად გამოირიცხოს და საქართველოს მიერ ტერიტორიაზე უსაფრთხო გარემო შეიქმნას.

კარგად იმუშავეს შინაგან საქმეთა სამინისტროს განაღმელებსაც. მოსახლეობისგან მიღებულ ინფორმაციაზე სწრაფად რეაგირებდნენ და ბევრი ფეთქებადსაშიში საგანი გაუვნებლეს.

პუბლიცისტული განაღმების მომდევნო ეტაპი განაღმეულია საერთაშორისო ორგანიზაციების მონაწილეობით მიმდინარეობს.

5 სექტემბერს პირველი მიმართულებით „პუბლიცისტული განაღმებით საქმიანობის ხელშეწყობის შესახებ“ ბრიტანულ-ამერიკულ ორგანიზაცია The Halo Trust-თან გაფორმდა, მაგრამ საშუალოა დღე-მა მოცულობაში კიდევ ერთი ორგანიზაციის მიწვევის საჭიროება შექმნა და 17 სექტემბერიდან მუშაობას ნორვეგიული ორგანიზაცია Norwegian People's Aid-ი (NPA) შეუდგა.

მუშაობა რამდენიმე მიმართულებით წარიმართა, რამაც დაბინძურებული ტერიტორიების შესწავლა, მოსახლეობის ინფორმირება, კერძონაღის დაქარაუვება და ტრენინგი მოიცავს.

პუბლიცისტულ განაღმებით საქმიანობაში პოლიტიკის, სტრატეგიისა და კოორდინაციის შექმნება რეალისტური იხივის 2008 წლის 1-ელ ოქტომბერს თავ-

დაცვის სამინისტროს J-3 დეპარტამენტში საინჟინრო, რადიაციული, ქიმიური და ბიოლოგიური დაცვის სამხრეთივლ შეიქმნა, ხოლო საინჟინრო ბაგალიონში კი ფეთქებადსაშიში საბრძოლო მასალების გაუვნებლების ჯგუფის ჩამოყალიბება დაიწყო.

ახლან განაღმებისა და ნაღმების მსხვერველია დახმარების საერთაშორისო ნდობის ფონდის ITF-ისა (სლოვაკეთი) და აზერბაიჯანული Anama-ს მონაწილეობით თავდაცვისა და შინაგან საქმეთა სამინისტროების პუბლიცისტული განაღმების ჯგუფის წევრება პირველი ტრენინგი გაიარეს და მალე ერთ-ერთი დაბინძურებული ტერიტორიის გასუფთავებას შეუდგებიან.

საქართველოს ტერიტორიაზე მომუშავე განაღმეულია საერთაშორისო ორგანიზაციების კოორდინაციას უკეთებს

**ქართველი მესანგრეების შეგროვილი ქორეგები**



ნებით ევლანზე მეტად შიდა ქართლის სოფლები დაბინძურდა. შემწინდა გორის, ქარელის, კასპისა და ზაჰურის რაიონების 377 სოფელი, საიდანაც 24-ში ევოქუბადსაშიში სავნები გამოვლინდა. ეს სოფლებია: ახალდაბა, ბროწეულითა, დაცი, კრგნეთი, კარალოთი, ცრბი, ქვემო ხეთი, ქვემო ნიქოზი, ზემო ნიქოზი, მულერკისი, ფხვინისი, შინდისი, ტრინისი, ვარანა (ე.წ. „ვარანის მურწრუბის“ სათელით), ხელთუბანი, თორტიზა, არბო, საქაშეთი, თელწინდა, ძოველეგარი, რუისი, დირბი, დვანი და ქოლვეცი.

ძალზე მნიშვნელოვანია ჰუმანიტარულ განაღმეში საერთაშორისო ორგანიზაციების მონაწილეობა, რომლებიც მდიდარ გამოცდილებას ქართველ განაღმეელებს უზიარებენ.

ნორვეგიული ხალხის დახმარების ორგანიზაცია (NPA) განაღმეის სამუშაოებს 24 სექტემბერს სოფელ რუისში შეუდგა და რუისის, ქვემო ხეთისა და ზემო ნიქოზის მღამეებში ევოქუბადსაშიში სავნებისაგან დაახლოებით 2,5 მილიონი კვადრატულ მეტრზე მეტი ტერიტორია გაიწმინდა.

NPA-ს მიერ ნაბოხნია 200-მდე ევოქუბადსაშიში სავანი. მათ შორის 42 — 9H210 და 57 — M095 ტიპის კასეტური ელემენტები.

ჰუმანიტარული განაღმეის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად ავგილიბრევი მოხალისეებისაგან ორი 13-კაციანი ჯგუფი მოწმინდა.

ამჟამად ორეუ რაზმი ზემო ნიქოზშია, საღაც განაღმეთი სამუშაოები ისეუ გრძელდება. მოსალოდნელია სამუშაოების ვარანაში, ფხვინისსა და რუისში ჩატარება.

დიდა მოცულობის ჰუმანიტარულ განაღმეთი სამუშაოებს ასრულებს ბრიტანულ-ამერიკული The Halo Trust-ი, რომლის ფინანსური დონორები არიან შვეიცარიული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტი, ევროკავშირი, UNICEF-ი, დიდი ბრიტანეთისა და გერმანიის მთავრობები.

2008 წლის აგვისტოში ორგანიზაციის განაღმეელები საქართველოდან გამაყარეს სამხედროებს ეფხადეუტე მიპეკებისდენ და დანაღმული ტერიტორიების მუშაობისათვის მოწმინდაბას იწვებდნენ.

რუსი ოკუპანტების შექმნილი ე.წ. ბუფერული ზონები და პოსტები მუშაობის მიზანდასახული შექმნილი გარემოება იყო, რადგან რუსი სამხედროები ასეთ ადგილებში განაღმეელებს, როგორც წესი, არ უშუებდნენ.

შიდა ქართლის სხვადასხვა სოფელში



**რუსულ დაბომბვებს ვერ გადაურჩა ისეთი „სტრატეგიული“ ობიექტის, რომელიც ფოტოზეა გამოსახული**

ევოქუბადსაშიში სავნებით დაბინძურებული 31 ნაკვეთი გამოვლინდა.

მოკლე დროში The Halo Trust-ის განაღმეელებმა 33 მილიონი კვადრატული მეტრი ფართობი ევოქუბადსაშიში სავნებისაგან ზედაპირულად მოღიანად გაწმინდეს, 4 მილიონ 700 ათასი კვადრატული მეტრი — ზედაპირულ-ხიღმისეულად იწმინდა, საიდანაც 3 მილიონ 800 ათასი კვადრატული მეტრი მთლიანად გასუფთავდა.

განაღმეელები, ძირითადად, კასეტურ ელემენტებს პოულობენ. ნაბოხნია 1427 კასეტური ელემენტი (9H210, M095 და AO-2,5PT), რაც ამდენეუ გდარჩენილ სიცოცხლეს ნიშნავს.

ყოველდღიურად 200-ზე მეტი კაცი მეტალიდექტორებით ევოქუბადსაშიში სავნებს ეძებს და მათ შორის არიან ვანის რაიონიდან ჩამოსული განაღმეელები.

იქ, საღაც მეტალიდექტორების

გამოქნება შეუძლებელია, განაღმეელებს ნიხის დახმარებით მუშაობა უწევთ

სამუშაოები თითქმის დასრულდა ახალდაბაში, თელწმინდაში, ხელთუბანში, თორტიზასა და შინდისში (დარჩენილი პატარა მონაკვეთი).

ნოებრის ბოლომდე The Halo Trust-ი სამუშაოა დასრულებას მღვერელებში, ფხვინისში, შინდისში, თორტიზაში, ვარანასა და რუისში გეგმავს.

საქართველოში The Halo Trust-ის წარმომადგენლისა და პროგრამის ხელმძღვანელის ენდრეუ მურის შეფასებით მოკლე დროში ძალზე მოცულობითი სამუშაო შესრულდა, რაც უპირველესად მშვიდობიანი მოსახლეობის უსაფრთხოებას ისახავდა მიზნად.

ჩატარებული სამუშაოების მიუხედავად, საფრთხე მაინც დიდა და მოსახლეობა ვალდებულია ევოქუბადსაშიში სავნებს მოერიდოს.

თამარ ჩაჩანიძე



# საქართველოს საგარეო დაზვერვა მითი და ხეაღობა

დასაწყისი იხ.  
„არსენალი“ №14-17

„არსენალი“ წინა ნომერში თხრობა შექვეყნებულ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო გვარდიის შტაბის წევრისა და ცნობილი სოციალ-დემოკრატის დავით სადირაშვილის მოგონებების ძალზე მნიშვნელოვან მონაკვეთზე.

მამ ასე, ბოლშევიკური რუსეთის სრულუფლებიანი წარმომადგენელი არის შეიძინა, რომელიც ძალზე საინტერესო ისტორიული ფიგურაა და მის შესახებ უფრო დეტალურებით ქვემოთ მოგი-თხრობთ. 1921 წლის იანვრის ბოლოს წველებას მართავდა რუსეთის საელიზი-ზი. ეს დაილომატიური ერთეული საყოველთაოდ მიღებული პრაქტიკაა და საინტერესოა, რა უნდა ყოფილიყო უწყველი და დასაქმებული საქართველოს სახალხო გვარდიის მაღალიჩინოსისთვის? კვლე დავით სადირაშვილს მოეუხმინოთ, რომელიც დაქვეყნების მიხედვს ასე ხსნის: „შეიძინა, ეფინ პატივის არა მთავრობას, არამედ სახმედრო ირგანიზაციას, სადაც ვსულუბა ბერი ისეთი პირი, რომელიც მისი ნდობა არა აქვთ. ამ მოწვევის გამო გვარდიის შტაბში თათბირის დროს გადაწყდა, მოუხმედაც ასეთი უცნაურობისა, ამ მოწვევის მიღება. ბანკეტ... საუცხოო გამოდგა. მრავალი სასსულ-საჭმელი. შეიძინა თვით გახლდათ თამადა და გვარდიის ყოველ წევრზე საქუთარი სადღეგრძელი წარმოსთქვა. ამ სიტყვებში გვეფიცებოდა ის თავის მგობობას და მშვიდობიანი ცხოვრების სარგებლობას ორ ქვეყნის შორის... გველაგრიდან სწინდა, რომ მას უნდოდა ჩვენი მიძინება ან ჩვენი გულის წადლის გაგება. მას მშენიერად აქონდა მუსხელილი ყოველივე ჩვეთაგანის პირიყრება, რაც რასაკერძეელია მტრს ეჭვებს ისწავდა. ჩვენი ბანკეტი დამთავრდა გარეგნული მხიარულებით, მაგრამ ჩვენთვის ცხადი იყო, რომ რაღაცა საშინელი მზადდებოდა ახლი მომავალში, რისთვისაც მზად უნდა ვყოფილიყავით, ამიტომ იმ საღამოსვე მოხდა შტაბის სხდომა, სადაც მთავრობის თავმჯდომარეც იქნა მოწვეული. გადაწყდა სასწრაფო საშინადის ყოველი მოსალოდნელი ამბებისთვის“.

მწილი სათქმელია, იმვე საღამოს რა გინიერული ღონისძიებები უნდა დაეკე-

მით კარგად ნაკეფიარ გვარდიის შტაბის წევრებს? აღბათ, უფრო ნაბახუხვლიან გამოსვლის მიყოლები და ხერხები უტრიალებდით თვით. ან მთავრობის თავმჯდომარე ნუე ყორდანისა რა ახალი გვემები უნდა შეედგინა ღვინისაგამ ხეხთან ერთად?

უფრო კურიოზული კი ის ფაქტია, რომ 1920 წლის აპრილიდან სხვადასხვა წვარითი ცნობილი იყო საქართველოში საბჭოთა რუსეთის მე-11 არმიის შემოჭრის გვემების შესახებ. სამწუხაროდ, ერთი წლის განმავლობაში მნიშვნელოვანი საბჭედრო-პოლიტიკური ღონისძიებები არ გატარებულა ამის თვიდან ასაცილებლად ან თუნდაც თავდაცვისთვის მოსამზადებლად. ორ კვირში კი რაღა მოესწებოდა?

დავით სადირაშვილს ერთში ნამდვილად უნდა დავთანხმდეთ — საქართველოსთან ბოლშევიკების ფრული ბრძოლის ფორპოსტი რუსეთის საელიზი იყო.

### რუსეთის საელიზი - ბოლშევიკების აგენერის მთავარი ბუე

1920 წლის 7 მაისს, რუსეთ-საქართველოს შორის სამშვიდობო ხელშეკრულებ-

ლი არმია, რომელსაც გენერალი პიუ მაკეი ხელმძღვანელობდა. მთიელებმა მოწინააღმდეგეს მანამდე შეუტეს, სანამ იმისი ცეცხლს გახსნიდნენ და მათი შტაბის მანამდე მიადგნენ, სანამ ინგლისელები სროლის შემდეგ მუშაობენში ბაიონეტების ჩამატებას მოასწრებდნენ. ინგლისელი ქვეითები, ფაქტობრივად, უიარაღი დარჩნენ შეპობუხების წინაშე და მათი უშედეგი ნაწილი განადგურდა. მოვიანებით გენერალი მაკეი სიკვდილამდე (1692 წლამდე) შტაბალეშაში ბაიონეტების ნაცვლად ე. წ. შუალედური ხმობების მიღების თვამოდებელი მიმხრე იყო.

ბაგიენტი გერმანულ სახელმწიფოებში თვამოდებულად საქონისის არმიაში XVII საუკუნის მეორე ნახევრიდან გამოჩნდა. ამ ქვეყნის ოფიცერთა შუამდგენლობისთვის გაკეთდა ახალი კონსტრუქციის ბაიონეტ-ეკსპლანტიონი, რომლის ლულაზე ჩამოსატყობილი მთლიან საშავრს სამშუღა ჭრიდა ქმნიდა. (ნახ. 5.) მისი სიგრძე 315მმ-ს, პირის სიგრძე — 195მმ-ს, სიგანე — 40მმ-ს, მთლიან სიგრძე — 743მმ-ს, ხოლო შიდა დამატრის 22,5მმ შეადგენდა. ბაიონეტ-ეკსპლანტიონი ლულაზე ჩამოტყობისას ჭრილით ლულის სამხრეს გაივლიდა და შემდეგ ნახევარი ბრუნის შემორთავლებისას სწორედ ლულის სამხრეს აფიქსირებდა მას გარკვეულ პოზიციაში. მიუხედავად ამისა, ახალი კონსტრუქციის გამოყენება მანაც ბაიონეტად რჩებოდა, რადგან მისი შუა ღერძი თოფის ლულის შუა ღერძს ემთხვეოდა. ეს კი ბაიონეტის მოუხსნელად თოფს გასროლის შემდეგ ლულიდან ხელახალ დატენას ხელს უშლიდა.

**თალიზი**

**თბილისის გარეგანი ურთიერთობების განყოფილება**

თბილისის გარეგანი ურთიერთობების განყოფილების სახელმძღვანელო - ISHRS - შსსმ

**მთავალწლამან ბაგიენტიშა, ხარისხი, გარანტირებული შუამდგომლობა**

ფორმალური ბაგიენტიშის მიზანშეწონილი ტრენინგები, სანდოტრენინგული ტრენინგები, FOX-პროგრამები, უფასო და უსაფრთხო ბაგიენტიშა

**თბილისის გარეგანი ურთიერთობების განყოფილება 2-3 საათი უფასო ტრენინგული**

ბაგიენტიშის თბილისის გარეგანი ურთიერთობების განყოფილებაში

ბისაგანტი, მ. შაბაძე, ტელ: 25-37-39; 37-60-89

[www.talizi.ge](http://www.talizi.ge)    [www.talizi.net](http://www.talizi.net)    [www.talizi.com](http://www.talizi.com)

ბერი გერმანული ბაიონეტი ზოლინ-გენში ვითარდა. სწორედ ზოლინგენელმა ოსტატებმა შეიტანეს დიდი წვლილი მისი კონსტრუქციის განვითარებასა და მისი წარმოების გაზრდაში სხვა ქვეყნებთან შედარებით რუსულ რეგულარულ არმიამ ბაიონეტების შემოღება-გამოყენების შესახებ ინფორმაცია საკმაოდ მწირია. ცნობილია მხოლოდ ის, რომ 1709 წლამდე ფრუხებისათვის (მუშევრების ნარასაჯება) ცალკეული ბაიონეტები გამოიყენებოდა.

იარაღის სერიული წარმოებისათვის მნიშვნელოვანია სტანდარტიზაცია, რაც იარაღის შეკეთებისათვის ურთოებრივ შეცვლად დეტალების გამოყენების საშუალებას იძლევა. იმ დროის დაბალი ტექნოლოგიური დონის გამო სახელმწიფოში არ არსებობდა ერთიანი სახელმწიფო სტანდარტი. ამიტომ შეიარაღება განსხვავებული კალიბრისა და ამ პრობლემის აღმოსაფხვრელად მოკვიანებით შეიქმნა ისეთი კონსტრუქციის ბაიონეტები, რომელთა მილისებს ჰქონდა გრძელი, დამჭობი ჭრილი, რაც საშუალებას იძლეოდა მათი განსხვავებული დამატრის ლულაზე ჩამოცმის შემდეგ მილისების მოიწმინდონ ან გამოითქვოდნენ ფიფქვით დასაფარებელი.

ასე რომ, XVI-XVII საუკუნეების გასაყარზე ვეროის ბერი სახელმწიფო არმიების შეთარაღებაში ისეთი კონსტრუქციის ხიმტის მიღება დააპირეს, რომელიც ლულაზე ისე დამატრდებოდა, რომ მას მსროლოებისათვის ოფის დატენის დროსა და სროლისას ხელი არ შეეშალა. ეს დროც მალე დადგა ე.წ. შუალედური ხიმტების სანაცვლად ორი სახეობის თანამედროვე ხიმტები გამოჩნდა. პირველი მხხელეტყვი ხიმტ-ე.წ. ხიმტ-შააკა გახლდათ, ხოლო მეორე — მხხელეტყვი-ქვეყიელი ხიმტ-დანა.

XVIII საუკუნიდან ფეხბოკიდებულო მხხელეტყვი ხიმტები მილისებური საძარევი მუქვების ლულას ეცემებოდა და ოფის მხხელეტყვი, ანუ შუბის ფუნქციას ასრულებდა. ხიმტო ლულაზე ისე იყო დამატრებული, რომ ლულის შუა ღერძისას რაც შეიძლება მარჯვენა ფოფილიყო მოქცეული. ეს აადვილებდა ხიმტის მოუსხნელად ოფის დატენასა და სროლას, გარდა ამისა, ჯარისკაცს ხიმტის ხმარებისას თოფი კონდახის ყვითი ეჭირათ და ის შეტყვას მარჯვენა ხელით იყო შემართული. ხიმტის ასეთი მდებარეობა მოხერხებული იყო მისი ლულაზე მარჯვენა ხელით დამატრებასა და მოხსნისათვის. ამასთან, ლულის



ქვემ არსებული თოფის ზუმპის გამო მისი დამატრება შეუძლებელი იყო.

ამ ტიპის ხიმტებმა ქვეით ჯარში XX საუკუნის ნახევრამდე მოაღწია. ასეთი ხიმტო ყველაზე უკეთ ქვეითებზე დაკისრებულ ფუნქციებს ასრულებდა, თუმცა ისინი როგორც კავალერიაში, ასევე სხვა დანიშნულების ნაწილებშიც გამოიყენებოდა.

XVIII-XIX სს-ბის პირველ ნახევარში არმიებში ერთიანზოფანი ბრძოლის ტაქტიკა მოქმედებდა. იარაღის დაბალი სიზუსტე ზალპური ცეცხლის ეფექტით კომპენსირდებოდა. სროლის შემდეგ მჭიდროდ მდგარი ჯარისკაცების ხიმტმომარჯვებული მწკრივები გაუვალ ზღუდეს უქმნიდა მოწინააღმდეგის ქვეითებსა და კავალერიასაც კი.

გარდა ხიმტთან თოფებით შეარადებული ჯარისკაცების კოლექტიური მოქმედებისა, თითოეულ მათგანს მისი მარჯვენად მოხმარებაც უნდა სცოდნოდა. ხიმტით ბრძოლის სახელმწიფოებრივი ვეროებულ სახელმწიფოებში XVIII საუკუნის მეორე ნახევრიდან გამოჩნდა, თუმცა პრაქტიკაში ხშირად არ გამოიყენებოდა. სინამდვილეში შეტაკების შედეგად დამოკიდებული იყო მომართ მხარეების მტკიცე ნერვებზე. ერთმანეთს პირისპირ მდგარი მოწინააღმდეგეები ელოდებოდნენ, გასროლამდე პირველად ნერვები ეთ უტყუნებდა, ხოლო გასროლის შემდეგ ეთ აქცედა პირველი ზურგს ხიმტებით მოსალოდნელ შეტყვას.

ხიმტები სამ ან ოთხწახნაკა 50-60 სმ სიგრძის შპავისმაკვარ ფოლადის

წაგრძელებულ ნაჭვრს წარმოადგენდნენ. მათ ხიმტ-შპავასაც უწოდებდნენ. სამწახნაკა ხიმტ არ ყოფილა ვხადლებული რუსული გამოგონება. ის პირველად 1863 წელს შვეიცარიაში, პიადლის ისტყვის შპახნებისათვის შემოიღეს. 1868 წელს საფრანკეთის ფოლტში, ხოლო 1866 წელს ცხინოსან ჟანდარმერიაში გამოჩნდა. 1870 წელს იტალიის კავალერია და რუსეთის არმია ერთდროულად შეთარაღდნენ სამწახნაკა ხიმტებით. რუსეთის არმიაში ის ორ ვარიანტად, — ქვეითთათვის და დრაგუნთა შპახნა ბერდანისოვის მიძღეს, ამ ნიმუშის ხიმტებს უკვე ჰქონდათ მხოლოდ რუსული ხიმტებისათვის დამახასიათებელი განსხვავება, — წაკვეთილი ბრტყელი წვერი, რაც კრიტიკულ ვითარებაში მისი საზრუნისად გამოყენების საშუალებას იძლეოდა.

სხვა ქვეყნების ხიმტის წვერები ყოველთვის წამახული იყო, რადგან ხიმტ-შპავას გამოყენება მსროლოების თავედაცვისუნარაანობას მნიშვნელოვნად დამცირებდა, ამიტომ ყურადღება ხიმტ-დამტებზე გადაიტანეს. ხიმტ-დანა უნივერსალური იარაღი იყო. თოფზე დამატრებული ხიმტის ფუნქციას ასრულებდა, ხოლო ოფის გაფეშე შეკვეთლ ცეც იარაღად, დამხად გვეკვლინებოდა. მოკვიანებით მან ხიმტ-დანევის შექმნას ჩაუყარა საფუძველი.

**მიხეილ ხორცილავა**

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)



„ტარულ დერეფანში ჩემი ნაბიჯე ბის ხმას ყრუდ ეხმარება ექო, ტერიდან კი მერთალად ბუტბავს ფლოროსცენტრული ნათურის შუკა. მე რეზენდის ბირთველი კომპლექსის ტეროტორიაზე, ბუტონის კუთხრიდან შენობაში ვარ. ჩემ პირდაპირ, დახული კარის მიღმა, მალაქტორიანი პოლია, რომელშიც შეტლის უფლება არა მარტო მე, არამედ კომპლექტის თანამშრომლობა უმრავლესობასაც არა აქვს. მალე სწორედ აქ დაიწყებს ბრაზილია ურანის გამდიდრებას“, — ნერედა 2006 წლის მარტში ერთუ გიზუ რამდენიმე ურანალისტთაგან ერთ-ერთი, რომელსაც ბრაზილიის ხელისუფლებამ ობიექტზე შეტლის ნება მისცა.



# ზისტორიულან ზსტორიულან წყალქვეშა ნავებზე

## „ბრაზილიის კოლონიზაცია ტექნოლოგიური დამოკიდებულების გზით, არ უნდა დაფუშვებთ!“.

ასე და ამერად, ბრაზილიის ხელისუფლების გადწყვეტილებითა და მსოფლიო საზოგადოების თანხმობით, რომელსაც ამ დროს ირანის ბირთველი პროგრამაზე ჰქონდა ვერადლება გამახვილებული, ქვეყანამ ურანის გამდიდრება დაიწყო. ბრაზილია მსოფლიოს მეტრზე ქვეყანა გახდა, რომელიც ბირთველი ტექნოლოგიის მიოინი ციკლს ფლობს. მას შემდეგ (IAEA) International Atomic Energy Agency-ს ექსპერტების მეთვალყურეობით რეზენდის ქარხანაში, რომელიც დღეაღამაქ ბრაზილიიდან საზღვრ-დასვლეთით 144-ე კილომეტრზე მდებარეობს, იწარმოება მცირედ გამდიდრებული (5%-იანი შემადგენლობით) ურანი, რომლის გამოყენებაც მხოლოდ საწყების სახით შეიძლება კვლევით და საწრქველო სახის ბირთველ რეაქტორებში.

ურანის გამამდიდრებელი ქარხნის ამუშავება და საკუთარი კონსტრუქციის ცენტრირეუვის შექმნა, პრაქტიკულად, ფანალური ეტაპი იყო 1940 წელს დაწყებული ბრაზილიის ბირთველი პროგრამისა. ყველაზე საინტერესო კი ის არის, რომ რეზენდის ქარხანაში დამონტაჟებული ცენტრირეუვატი ბრაზილიის სამხედრო-საზღვაო ფლოტის ძალებით შეიქმნა. ერთი შტედეით ეს ფაქტი რამდენიმე უწყველია, მაგრამ ბრაზილიელმა ადმირალმა ზომ რამდენიმე ათეული წლის წინ დაიწყეს ატომური წყალქვეშა

ნავის შექმნის ამბიციური პროგრამა. ყველაფერი იმით დაიწყო, რომ სამხედროებმა, რომლებიც ქვეყანას 1980 წლამდე მართავდნენ, ერთეული ბირთველი პროგრამისათვის საერთაშორისო კონტრილის თვიდან ასაცილებლად საკუთარ თვეზე აღეს მისი ე.წ. ვასაიდუმლობა. პარალელურ პროგრამაში ჩაერთო შეიარაღებელი ძალების ყველა სახეობა. სამხედრო-საზღვაო ძალების კვლევითი ცენტრი მცირეგაპარტიანი ბირთველი რეაქტორისა და წყალქვეშა ნავის რეაქტორისათვის განკუთვნილ ურანის გამამდიდრებელ ცენტრირეუვატზე მუშაობდა. ქალაქ სან-ჟოზე-დუს-კამპუსში განთავსებული სამხედრო-საკაერო ძალების აეროკოსმოსური ტექნოლოგიების ცენტრის პერსპექტიული ნავთობის ინსტრუქტორ ურანის გამდიდრების დამერულ ტექნოლოგიაზე, თანამეზურისათვის ბირთველი საწყების შექმნაზე, ბირთველი რეაქტორის ერთ-ერთი სახეობის (სწრაფ ნეიტრონებზე) და ე.წ. „ბირთველ ასაფეკებელ მასალაზე“ (მშვიდობიანი მშენებისთვის) აუგდა პასუხს. საგანგებო პროექტების საარმაო ინსტრუქტი კი (ქ. გუარატინგა, რიო-დე-ჟანეიროს შტატი) გრანატული ბირთველი რეაქტორის ტექნიოლოგიებს ამუშავებდა.

გაცილებით უკეთესად გამოყვიდათ საქვე მუხდვაურებს, რომლებსაც მცირე ზომის კომპაქტური რეაქტორი სჭირდე

ბოლო, რომელსაც მომავალში წყალქვეშა ნავზე დაყენების პერსპექტივა ეწებოდა. იმ დროს რეაქტორისთვის ურანის საზღვაგარეთ შონა შეუძლებელი იყო და სწორედ მასში ჩაიფეკრეს ბრაზილიელმა სამხედროებმა ურანის საკუთარი ძალებით გამდიდრება.

1969 წელს ბრაზილიის სამხედრო-საზღვაო ფლოტში დაიწყო პროგრამა, კიდერი საზღვრებში „პროექტი „ციკლონი“, რომლის ამოცანა იყო ურანის გამამდიდრებელი ცენტრირეუვის და-რეაქტორის პროგრამას სათავეში ჩაუდგა სამხედრო-საზღვაო იფეკერი ოტინ ლესი პინეირი და სილვა. რომელიც შემდეგ კონარაცია „რეაქტორიუკლუარის“ პრეზიდენტი გახდა. კომარაცია დღეს რეაქტორ „ანგრა-21“-ის და „ანგრა-2“-ის ექსპლუატაციას ეწევა. ოფიცერმა პინეირო და სილვამ ბირთველი ენერგეტიკის კურსი აშშ-ში გააარა ცნობილი მეცნიერის, პრეფესორ მენსინ ბენედიტის ხელმძღვანელობით, რომელიც ამერიკულ პროექტ „სანტეკნოში“ მონაწილეობდა.

პოლკოვნიკი ნიჭირი მონაფეე გაძედა. მიიღო ოუ არა ახალი თანამდებობა, მამინე შექმნა შვიდი ინჟინრისგან შედგარი ვაკუი და სან-პაულუს უნივერსიტეტიან არსებულ ენერგეტიკისა და ბირთველი ფიზიკის საითხების შემსწავლად ინსტიტუტი განყოფილება შექმნა. ეს ინსტიტუტი მხოლოდ იმითმ შეიარჩა, რომ იმ

დროისთვის მიღწეულ ბრახილიაში მხოლოდ ის იყო ერთადერთი მაღალტექნოლოგიური ორგანიზაცია, რომელიც დაკავშირებული არ იყო კორპორაცია NUCLEBRAS-თან, რომელიც გერმანია-ბრახილის ატომურ პროექტში მონაწილეობდა და შეკაცად კონტროლდებოდა საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ. სამხედროებს კი კონტროლი არაფერად სჭირდებოდათ.

1982 წლის 8 სექტემბერს ერთ-ერთმა ჯგუფმა, რომელმაც მხოლოდ ერთი ცენტრირეუვა გამოიყენა, ბრახილის ისტორიაში პირველად შეძლო ურანის გამდიდრება. მართალია, ცენტრირეუვა საკმაოდ მარტივი კონსტრუქციისა იყო, მაგრამ უკვე ჰქონდა ელექტრომაგნიტური საკისრები. ეს იფეა პიხურეუ და ხელდასაყრე პრიფორმირება ბუნე-დებმა უკანახა. ხუთი წლის შემდეგ ბრახილიელებმა ერთმანეთის მიფილებით გაერთიანეს 48 ცენტრირეუვა, ხოლო 1991 წლისთვის მათი რაოდენობა ხუთას აღწედა. ბრახილიურ ცენტრირეუვას უნიკალური კონსტრუქცია აქვს: როტირი — მბრუნევი ცილინდრი ცენტრირეუვის კორპუსში თითქოს ჰაერშია გამოკიდებული და ისე მობრახობს, რომ ხახუნს, ფაქტობრივად, არ განიცდის (მობრახე და უძრავ ნაწილებს არა აქვს შეჭების წერტილები, — ამიტომაც არ არსებობს ხახუნი). ასეთი „დეკორაცია“ აქტიური მართვის ელექტრომაგნიტური საკისრების მეშეყობით მიადწევა. ეს ცენტრირეუვის ახალი გაუმჯობესებული მოდილია. ბრახილის სამხედრო-სახლავო ფლოტში შექმნილია მისი პროტოტიპი, რამდენადაც ცნობილია, სტანდარტული კონსტრუქციისა იყო (თუმცა ბრახილიელები საკუთარ ტექნოლოგიურ და ტექნიკურ მიდწევებს ერთობ საიდუმლოდ ინახავენ). განსაკუთრებით საიდუმლოებითაა მოცული ის მართვის სისტემა, რომელიც როტირის ელექტრომაგნიტურ კლუსში სტაბილური (განხრების გარეშე) ბრუნვის საშეყლებას აძლევს. საიდუმლოა აგრეთვე ელექტრომაგნიტური საკისრების რაოდენობა და მათი ვალდაგების ადგილები. ამიტომაც ცენტრირეუვას სამხედრო-სახლ-



ავო კლევით ცენტრში ორბეტრიანი ბეტონის კვლები ფარავდა. თუმცე მოგვიანებით, IAEA-ს მითხონების თინახხმად, ბრახილიელებს ბეტონის კვლების ადებამ მიუწეიათ.

რაც შეეხება „აროექტ -ციკლინს“, მასზე უტყუარი ინფორმაცია დღემდე არ არსებობს. ოფიციალურად დადასტურებულია მხოლოდ ის, რომ ცენტრირეუვებზე მუშაობა მიმდინარეობს სან-პაულუს სამხედრო-სახლავო კლევით ცენტრში, ხოლო მათი წარმოება სან-პაულუსში 120 კილომეტრის დაშორებით მდებარე ქალაქ აერეუსში განთავსებულ კლევით ცენტრ „არამარში“ ხდება (IAEA-ს ინსპექტორებს ეს ცენტრი მხოლოდ 1997 წელს აღმოჩინეს). ბრახილიელი ადმირალები ამ თუმსზე ლაპარაკს გაურბიან, სამაგიეროდ, ცნობილია, რომ ხელისუფლებამ 1979-1984 წლებში „აროექტ -ციკლინზე“ 250 მილიონი დოლარი დახარჯა. თინხის შმიძენელები ნაწილი საიდუმლო საბაგო ანვარაშების მეშეყობით შემოდიდა. ოფიციალური მონაცემებით ურანის გამამდიდრებელი ტექნოლოგია ბიუჯეტს 200 მილიონ დოლარამდე დაუყვდა, ხოლო სამხედრო-სახლავო მინისტრმა საპარლამენტო მოსმენებზე განაცხადა, რომ ბრახილის ამ პროექტის რეალობებში 180 მილიონი დოლარი დაეხარჯა.

რეაქტორი წყალქვეშა ნავისთვის

ატომური სუბმარინის პროექტირება ბრახილიაში ჯერ კიდევ 70-იანი წლების ბოლოს დაიწეეს, ხოლო წყალქვეშა ნავისთვის ბირთვული რეაქტორის კონსტრუქციის შექმნის შესახებ სამხედრო-სახლავო ფლოტის ხელმძღვანელობამ 1978 წლის დეკემბერში განაცხადა, პრესაში კი სამაშულო ატომური წყალქვეშა ნავის შექმნის გეგმის შესახებ ინფორმაცია მხოლოდ 1988 წელს გამოჩნდა. მამან სამხედრო-სახლავო ფლოტის ჟურნალ Revista Maritima Brasileira-ში ინფორმაცია სტატია, რომელშიც რამდენიმე სამხედრო მაღალჩინოსანი, მათ შორის ადმირალები, მხურავლად უტყვრდნენ მხარს ატომური სუბმარინის შექმნის პროექტის უდადეგს სამხედრო პოტენციალის, — წყალქვეშა სუბმარინის შეუზღუდევი სიბრის და ავტონომიურობის, უხმაურიად მანევრების უნარისა და ა.შ. გამო. ატომური წყალქვეშა ნავის უპირატესობის დასადასტურებლად კი მაგალითად მოჰყავდათ ბრიტანული ატომური წყალქვეშა ნავების მოქმედება 1982 წლის ფოლკლანდის კონფლიქტში, როცა რამდენიმე ინგლისურმა წყალქვეშა ატომურმა ნავმა მსყობიდან გამოიყვანა არგენტინის თითქმის მთელი სამხედრო ფლოტი.





წყალქვეშა ნავისთვის ატომური ენერჯიდანადგარის პროგრამაზე მუშაობა მკაცრად იყო გასაიდუმლოებული. მიუხედავად ამისა, 2005 წელს ცნობილი გახდა, რომ „არამარის“ ცენტრის სპეციალისტებმა დაამთავრეს წყლისწყვეიანი ბირთული რეაქტორის ელემენტების კონსტრუქციებზე მუშაობა. შემდეგი ეტაპი იყო რეაქტორის აწყობა ამავე ცენტრის ტერიტორიაზე, Labgene-ს ლაბორატორიაში, რის შემდეგაც მას სუბკრიტის ატომურ-ენერგეტიკული დანადგარის რეაქტორის პროტოტიპად გამოიყენებენ.

ამჟამად ბრახილივი ინჟინრებს უკვე შექმნილი აქვთ ატომური რეაქტორის ძირითადი ელემენტების პირველი კონსტრუქცია.

ჩატრად აგრეთვე ბირთული საწვავის ჩატვირთვა-განტვირთვის პროცესების მიმდგრადი, დამოუკიდებელი პირველი კონსტრუქციის კონსტრუქციის ელემენტებზე მუშაობა. ამასთან, ტრანსფორმერატორებმა, სამხედრო ტრანსფორმების თანხმად, ტესტირება გაიარეს. სწორედ ამ მხინისთვის საგანგებოდ შექმნილ ლაბორატორიაში (ლაბორატორია აღჭურვილია ენერჯიდანადგარ LATER-ით) 2005 წლის ბოლის დამუშავდა ძირითადი საპროგრამო უზრუნველყოფის საშუალებები.

ბრახილიური წყაროების მიხედვით, 1980-2004 წლებში ატომური წყალქვეშა ნავის დანადგარზე დიხარდა 318 მილიონი დოლარი, რაც პროგრამის საერთო ბიუჯეტის 65%-ს შეადგენს. პროგრამის საერთო დირეგულიება კი, სხვადასხვა მონაცემით, 500 მლნ-1 მლრდ დოლარს შეადგენს.

პირველი ბირთული რეაქტორი, საკარავოდ, მზად 2010 წელს იქნება. თუმცა, აღმართადა ჟულიო სუარესი დი მიურა ნეტუმ აღიარა, რომ ატომური რეაქტორის მილიონად ბრახილიური ტექნოლოგიების აწყობა ვერ ხერხდება, მაგრამ ყველაფერი წინაა, სამხედრო-საზღვაო

კლავით ცენტრ „არამარის“ შესასვლელში ტყვიულად ხიმ არ არის გამოკრული პლაკატი: „ბრახილის კოლინზნაცია ტექნოლოგიური დამოკიდებულების გზით არ უნდა დღეუქვით“.

### ავიატორების აკვანია?

დიდი ხანია მიეჩნევიო აზრს, რომ ავიაცია ფრთავასა და აშშ-ში ჩაისახა. ამიტომაც ბერის გაუკვირდება, რომ მსოფლიოში ერთ-ერთი პირველი ავიატორიანია ბრახილის მიქალაქე აღბურტუე სანტუს-დიუსოი იყო. ბრახილის სამხედრო-საკაერო ძალიის დღის — 23 ოქტომბრის აღნიშვნაც ახარება როდია, — 1906 წლის ამ დღეს სანტუს-დიუსოის საკუთარი კონსტრუქციის თვითმფრინავით (14bis) მსოფლიო ავიაციის ისტორიაში პირველად აიჭრა ცაში. ეს პარაშიზო მოხდა. ავიატორმა ასარტრინად ძირავს წვეის ძალა გამოიყენა, რის შედეგადაც 3მ სიმაღლეზე 60 მეტრი გააღდახა. მსოფლიოს მძინავე პრესამ ის მამხივე „ავიაციის მამად“ მინათლა. გარდა ამისა, სანტუს-დიუსოი იყო პირველი მფრინავ-კონსტრუქტორი, რომელმაც კაცობრიობას ავიაციის სამხედრო მიზნებით გამოიყენების აკრძალვასაც მოუწოლა.

მას შემდეგ არავა ხანი გვიდა, მაგრამ დიუსოის მიდევნები მისი ქვეყნის ტექნოლოგიებში არ ახსებდა. მფრინავთა მამინ გამოსწორდა, როცა ქალაქ სანტუს-დიუს-კამოსში ვერ საავიაციო ტექნოლოგიების ინსტიტუტი, შემდეგ კი საავიაციო ტექნოლოგიების ცენტრი დაარსდა. ეს პატარა ქალაქი ბრახილის ინტელს-დიუსოვი ცენტრის — სან-პაულუსსაგან 90 კილომეტრის დამორებით მფებარეობს. მსოფლიოდ ამის შემდეგ შექმნეს ბრახილიუმს კონსტრუქტორებმა სამხედრო ავიალიანური IPD6504, რომელიც პაერში პირველად 1968 წლის ოქტომბერში აფრინდა. მიმდევნი წლის ივლისში კი ავიაციის სამინისტრომ სახელმწიფო ავიამ-

შესრული კომპანია embraer-ის „Impressa Brasiliere de Aeronautica SA ანუ Embraer“ შექმნა ვადაწყვეტა. კომპანის პირველი სამხედრო პროექტი გასამხედროებული ტურბოპროპანის ვაგალომ-ინობრავიო სატრანსპორტო დაინერი EMB-110 „პანდერანტე“ (პირერი) იყო. თუმცა შემდგომ კომპანია მხოლოდ ოცსორ ლიცენზირებულ პროექციას უშუქდა.

დროთა განმავლობაში ბრახილიელები თავიანთი კონსტრუქციების თვითმფრინავებს აწყობას შეუდგნენ და 1980 წლის აგვისტოში პირველად აიჭრა პაერში ბრაზილიანია სასწავლო-საწერტინელი, ორბრავიანი ტურბოპროპანის თვითმფრინავი EMB-312 „ტუკანო“, რომელსაც სამხედრო-საკაერო ძალებში T-27 (სასწავლო-საწერტინელი) ინტელქსი ძინეჭა. შემდეგ კი აჩვენეს AT-27 (მსუბუქი მიოერაშე). ეს თვითმფრინავი, რომელსაც PT6A-25C ძინეჭა და სამფრთიანია ბრახნი ჰქონდა, საომარ ვარიანტში აღჭურვილი იყო 12,7-მილიმეტრის ტრეკამფრეკციო რაკეტებათა და ჭურჭეთის, რომლებიც ოთხ საკიდარზე იყო განთავსებული.

AT-27 პირველი ბრახილიური სამხედრო თვითმფრინავი იყო, რომელმაც ფრინა „ემბრაერს“ მარცხინეული წარმატება მიუხედავად საერთაშორისო ბაზარზე. ეს მანქანებე შეძინეს საფრანგეთის სამხედრო-საკაერო ძალებმა და ბრიტანეთის სამხედრო-საკაერო ძალებმა. როცა იცნობილია, ეს ქვეყნები ფულს ვართში არ ხარჯევენ.

ბრახილის სამხედრო-საკაერო ძალებში „ტუკანოში“ ერთობ საბატიო სამუშაო იტვრია, — ამ მანქანებისაგან შეიქმნა საფრენ-საბიოტრაქო ვაგუეო, რომელსაც „კუადრია ფუმა“ (Esquadilha de Fumaca) ჰქვია. ამ თვითმფრინავის შთამომავალა ახალი სასწავლო-საწერტინელი მანქანა EMB-314 „სუპერტუკანო“, რომელიც სამხედრო-საკაერო ძალებში მიოერების ფუნქციას ასრულებს.

სამხედროებისთვის ფუჭად არც „ემბრაერის“ სამოქალაქო ავიაციაში მუშაობას ჩაუვლია. მგალითად, ძალზე გაამართლა სამზაურო ავიალიანური EMB-145SA-ს ბაზაზე შექმნილი „ბრახილიური“ ავიაცია (შორი რადიოლოკაციური დაზეუვის თვითმფრინავმა). ეს თვითმფრინავი, რომელიც ვერ კიდევ დამუშავდა-დახვეწის სტადიაშია, პაერში პირველად 1999 წლის 22 მაისს აფრინდა. მისი შექმნის სურეალი უკვე გამოიქვეს საერტინეთის და შედეგითის სამხედრო-საკაერო ძალებში.

თვითმფრინავი განკუთვნილია საკაერო სერვისის გასაორტორებლად, გამანადგურებლების ცეცხლის მისამარ-





EE-9 CASCAVEL

თად, ფრენების სამართავად, აგრეთვე სასასწავლო, საარმიო და ეკონომიკური ზინების გასაკონტროლებლად. მისი გამოყენება სამძებრო-სამშველო ოპერაციებშიც შეიძლება. თვითმფრინვებზე დამონტაჟებულ შედარებით წარმოების სარადიო-სალიკაციო სისტემის სხვის ფართო სპექტრია აქვს, მას საპირეო სამზინების აღმოჩენა 450 კილომეტრზე შეუძლია, ხოლო ისეთ ტიპურ სამზინებს, როგორც გამანადგურებელია, რადარი დაახლოებით 350 კილომეტრზე დააფიქსირებს.

თუ ბრავილილი ინჟინრების ბოლოდროინდელ მიღწევებს გავითვალისწინებთ, ნათელი შეიქნება, რომ ისინი „შორეული თვალის“ უფრო სრულყოფილ პროექტებზე მუშაობენ. ახალი თვითმობილური EMB-145RS-ის სარადიო-სალიკაციო დანადგარები აღჭურვილია სხვისი სინთეზირებული აპერტურით სითბოეზირებული, სატელევიზიო და მრავალსპექტრული კამერებითა და რადიო-ელექტრონული გზაგამაძველებით.

ნიშანდობლივია, რომ EMB-145-ის ამოცანათა შორის ერთ-ერთი ამპობინია აუზში ნარკოტიკების არალეგალური მოძიების თვალთვლიც არის. მისი სხვა და წყალზედა სამზინების აღმოჩენა რადიოსალიკაციო სადგურს 300 კილომეტრის რადიუსზე შეუძლია.

**უიღბლო გენერალი „ოზორიო“**

ბრავილიის სამხედრო მრწველობის ისტორიაში საინტერესო ეპიზოდი იყო სამშულო საბაზო ტანკის შექმნის მცდელობა, რომელიც ერთადერთი იყო მთელ ლათინურ ამერიკაში. ამით არა მარტო არმიის სამშულო წარმოების იარაღით აღჭურვის სურვილი გაცხადდა (ბოლოს და ბოლოს, ობოლიცაში ბრავილია არასდროს ყოფილა და მისთვის არც ემბარგო დაუწესებიათ), არამედ ნათელი შეიქნა, რომ ქვეყანას „დიდი სახელმწიფოს“ ამ-

ბიცია ჰქონდა. 70-იანი წლების ბოლოს სახელმწიფო კომპანია ENGESA (Engerferhos Especializados SA მოიცავდა 14 ფირმას და 6 ქარხანას) შეუდგა სამშულო ტანკის კონსტრუქციებზე მუშაობას. საიმაღი მანქანა უნდა აღჭურვებოდა 105-მილიმეტრის ბრიტანული (L7A3 „როიალ ორდენს“) ქვეშებითა, ან 120 მილიმეტრის კალიბრის ფრანგული GIAT ქვეშებითა და ცეცხლის მართვის თანამედროვე სისტემებით მეცხრამეტე საუკუნის ეროვნული გმირის პატივსაცემად მას EE-T „ოზორიო“ უწოდეს (ოზორიო კვაკელიის გენერალი იყო). ამასთან, EE-T1, რომლის მასა 40,9 ტონა იყო და 105-მილიმეტრის ქვეშებით ჰქონდა, მხოლოდ ბრავილიის არმიისთვის იყო განკუთვნილი, ხოლო EE-T2 (43,7 ტ.), 120-მილიმეტრის ქვეშებით, მხოლოდ საექსპორტოდ. ბრავილია მძიმე იარაღის საერთაშორისო ბაზარზე გასვლას უმზუნვდა. ტანკი მართლაც კარგი, იმ დროის

მოთხოვნების დონის დაძაბვით გამოვლენებელ გამოდგა. ქვეშებით 105 და 120-მილიმეტრის იყვლა თანამედროვე საბრძოლო კომპლექტის გასროლის საშუალება ჰქონდათ. ცეცხლის მართვის სისტემაში შედიოდა: ელექტრონობალისტიკური გამოთვლელი, კომბინირებული („აღუღლამე“) სამზინზე ლაზერული მასილმზომით გამზინენლისათვის და მეთაურისათვის; ტანკის კოშკის ჰქონდა კომბინირებული ჯეჟმანი, რომელშიც კომპოზიციური მასალები იყო გამოყენებული. დნხელის ძრავას დიდი ხვედრითი სიმძლავრე (1100 ცხენის ძალისას, 1 ტონაზე 25-27 ცხენის ძალა) და საყრდენი გორგოლაკების პიდრომუნემატური საკიდარი კარგი მანევრების საშუალებას იძლეოდა. უსწორმასწორო რელიეფზე „ოზორიო“ საათში 45 კილომეტრის სიჩქარეს ავითარებდა, გზატკეცილზე კი 70 კილომეტრს, შეეძლო 550 კილომეტრი საწვავის შეუქვებლად გაეყო. ტანკს ჰქონდა სანაფიციო და ავტომატური ხანძარსაინადამდლო სისტემები. EE-T1 „ოზორიო“ ENGESA 1986 წლისთვის უკვე მზად იყო სერტიფიცირებისათვის. ENGESA-მ ბრიტანული არმიის კონკურსზეც კი წარადგინა თავისი პირში, უფრო თავის გამოსაჩინად, ვიდრე ხელსაწყო ხელმეურელების მოსაპოვებლად. 1987 წელს კი საულის ამბიქიში საექსპორტო EE-T2-მა გამოცდებს დროს ტოლი არ დაულო M1A1 „აბრამს“, „ჩელენჯერსა“ და AMX40C-ს. საბოლოოდ კი საქმე რამდენიმე მანქანით შემიფარგა.

მიუხედავად იმისა, რომ პიროგამა „ოზორიო“ სახელმწიფოს სოლიდური თანხა დაუდდა, ტანკი თვით ბრავილიის შეიარაღებულ ძალებშიც კი ვერ მოხვდა. აღმოჩნდა, რომ უცხოური მოდელის



EE-11 URUTU





ტანკების შექმნა უფრო ხელსაყრელი იყო, ვიდრე საკუთარის წარმოება. 1997-2000 წლებში ბრაზილიის არმია შეიქმნა გერმანული „ლეოპარდ-1A1“-ებით, რომლებსაც მიღწერაზავია ბელგიაში ჩაუტარდა, რადგან გერმანელები „ლეოპარდ 2“-ის კონსტრუირებაზე გადავიდნენ.

1997 წელს ბრაზილიის თავდაცვის სამინისტრომ ამერიკის შეიარაღებული შტატებისაგან იჯარით აიღო ტანკები M60A3, 2001 წელს ისინი იყიდა. ასე რომ, ბრაზილიის სამხედლო ჯარებს 2008 წლისათვის ჰქონდათ 133 „ლეოპარდ-1“, 91M60A3 და 112 მიღწერაზავილი მსუბუქი ტანკი M418 და M41C.

არ გაუპაროდა ბრაზილიურ ფორმა „ბერნარდინისაც“, რომელმაც 80-იან წლებში, როგორც ადრე ფიქრობდნენ, ნაკლებმასივო საქმე 30-ტონიან ტანკების კონსტრუირება გაინარჩუნა. ასეთი ტანკი იაფი და ამასთან, საშრუო ამერიკის უსწორმასწორო რელიეფისათვის, სადაც ცელი საუბრა კაპიტება და დასაბუთ ტერიტორიაზეა აქვს ხიდების ურჯავისობას, შესაფერისი უნდა ყოფილიყო.

1988 წელს „ბერნარდინიმ“ ააწყო ტანკი MB-3 „ტამოი“ (ტამოის ტომის ინდიელები, რომლებიც მკომოროლი სულისკუთხედით გამოირჩევიდნენ, ადრე ბრაზილიის მიმდებარე ტერიტორიაზე სახლობდნენ). ტანკს 90-მილიმეტრის დიამეტრის ქვეშეპირი, რომელსაც ბელგური ლიცენზიით ENGESA უშუქებდა. მილიანობაში „ტამოი“ თანამედროვე მსუბუქი ტანკი იყო, რომელიც დაცულობას და წინის მიხედვით საშუალო კლასს განეკუთვნებოდა. მაგრამ არც ბრაზილიის თავდაცვის სამინისტრომ და არც უცხოელმა მიმდებარეებმა არ ისურვეს ფორმასთან ხელშეკრულების გაფორმება.

2001 წელს ბრაზილიის სახლვაო ქვეითთაის შეიხედეს 17 მსუბუქი ტანკი SK-105 „კიდასირი“. ტანკ „ტამოისის“ სახლვით ნიმუშს შესაძლებელი იყო რომელიმე სამხედრო მუხუქუმში მოხვედრილიყო, მაგრამ ასე არ მოხდა. 2007 წელს ტანკი შერბობებლმა ფორმამ აუცილებლზე გაყიდა.

„ახლა ბრაზილიური ტექნიკოლოგური აზრი აღარავის სწორდება“ — თქვა დანებით ქალაქ ჟუის-დი-ფორას ფედერალური უნივერსიტეტის ერთ-ერთმა თანამშრომელმა კარლუს მასტუსმა.

გაცილებით დიდ წარმატებას მაილწია კომპანია ENGESA-მ სამხედრო ვეტრობილებისა და ბორბლიანი ჯავშანმანქანების კონსტრუირებაში. 1970 წელს კომპანიაში, ბრაზილიის არმიის მოთხოვნათა გათვალისწინებით შექმნა მცურავი ჯავშანტრანსპორტიორი „ურუტუ“ (ბორ-



ASTROS II SS-40 MLRS

ბლებს ფორმულა 6X6), როგორც უნივერსიტეტი ჯავშანმანქანების ოჯახის საფუძველი, მის ბაზაზე უნდა შექმნილიყო: სადაზვერუო მანქანა, თვითმავალი „ტანკების გამანადგურებელი“ 120-მილიმეტრის ქვეშეპირი, საინტერაული, სამეთაურო-სამტაბო და სარემონტო-საეკვაიციო მანქანები. მათ შორის შედარებით მეტი ყურადღება მიაპყრო ჯავშანტრანსპორტიორმა EE-11 „ურუტუ“-მ (ტყვეობა 13 ჯანისკაცი) და საბრძოლო მანქანა EE-9 „კასაკელომ“ (ეკვაიპო სამი ჯანისკაცი), რომელსაც მზრუნვე კომუკრა და 90-მილიმეტრის ქვეშეპირი აქვს. ამ მანქანების სერიული წარმოება 1974 წელს დაიწყო. მათი ერთ-ერთი უნაკლები მახასიათებელი ბორბლების საკიდებია, — თითოეული ბორბლის მუხრე და მესამე ბორბალი მოქანავე ბალანსირება დაკიდებულ, რომლის შიგნითაც თითოეულ ბორბლს გადაცემა მოთუხებელი. ასეთი საკიდების დიდი დინამიკური სილა მთავორიან ავღლებში, რაც საშრუო ამერიკისთვისაა დამახასიათებელი, მაღალკამტრანაობას უზრუნველყოფს. ამასთან, გზაზეკიდებულ ეს მანქანები საათში 100 კილომეტრის აღწევენ, საწვავის შეუქმნებად კი მათ 850-880 კილომეტრის გულ შეუქმნაოთ.

ამ სერიის მანქანებს არანაკლებ შეეძლო მიდიეცავია ჰქონდა, რომლებიც გან-

სხვედებოდა ძრავებით (ამერიკული „ფეტრიტ დიხელი“, 6V-53 ან გერმანული „მერსედეს-ბენცი“ OM352A), ტრანსმისიებით, საბურავებში წნევის რეგულირების ცენტრალიზებული სისტემის ქონა-არქონით და ა. შ. მთოეც საუკუნის ბოლის „კასაკელო“, ბრაზილიის ვარდა, შუიარ-აღებულ ძალებში მყავდათ ბოლიფიას, ბურენა-ფოსის, გაბონს, განას, ზიმბაბუეს, იორდანას, ერაყს, ირანს, კოლუმბიას, კუბაროსს, პარაგვაის, სურინამს, ტინგოს, ტუნისს, ურუგვაის, ჩადსა და ეკვადორს. ათი წლის განმავლობაში ფორმამ, ძირითადად, საექსპორტოდ, 2550 საბრძოლო მანქანა „კასაკელო“ ააწყო. საერთაშორისო ბაზარზე მათი მიწოდება შესუსტევიდა ისეთი ცნობილი მიმწოდებლის მანქანებებს, როგორცაა ფრანგული ფორმა „პანარა“. როგ ქვეშეპირი ENGESA-სა და „პანარა“-ს საბრძოლო მანქანები ერთმანეთის გვერდისგვერდ გადიან საბრძოლო სამსახურში.

დამატებით, შედარებით მძიმე (13,4 ტონა) EE-9-ის გვერდით კომპანია შექმნა მსუბუქი სადაზვერუო ჯავშანმანქანა EE-3 „კიარაკა“, (4X4, მასა 5,8 ტონა), რომელიც ტყვეიმეტრეკვიითაა აღჭურვილი. ამ მანქანების სახელზე ერთობ მისხანველ ფიქრს: ურუტუზე, კასაკელო, კიარაკა — საშრუო ამერიკის სახიფათო, შხამიანი გველებია (ურუტუზე ამ-



FAL MD-2



ბობენ, თუ არ კლავს, სამუდამოდ ასახი-  
რებს კაცს).

EE-3 „კარაკა“ არსენალში ჰქონ-  
დათ გაბონს, იორდანია, ურუგვაის, კუა-  
ლერსა და კვიბოსს.

1980 წელს ბრაზილიაში დაიწყო უზუს-  
ტეს იარაღის კონსტრუირების პროგრამა,  
რომელიც თავდაპირველად მცირე  
სიმირის „პაეიო-პაეო“ რაკეტების წარ-  
მოებას ითვალისწინებდა. ფირმა „მეკ-  
ტრინი ენჟინარია“ მხოლოდ 1996 წელს  
დაამთავრა მუშაობა რაკეტებზე, რომელ-  
იც MAA-1 „პირანიას“ სახელითა ცნო-  
ბლი. ამ რაკეტის ინფრარითი სხიური  
თვითდამხრების სისტემა და მსხვერფე-  
ფუგასური კიბონი ჰქონდა, მისი ფრენის  
სიმძრე კი 5 კილომეტრს იყო. აღსანიშ-  
ნავია, რომ ფირმა „მეკტრინი“ პატარა  
კომპანიაა. იგი აერონავტიკის ტე-  
ქნოლოგიური ინსტიტუტის ხუთმა ინჟინ-  
რმა დაარსა. 2008 წელს ფირმამ ხელი  
მოაწერა კონტრაქტს პაკისტანისთვის რა-  
იონსალოკაციო საწინააღმდეგო საჰაერო  
რაკეტა MAP-1-ების მიწოდებაზე. ბრა-  
ზილიის თავდაცვის მინისტრის აზრით ეს  
ხელშეკრულება ფირმას საშუალებას მის-  
ცემს, რაკეტების წარმოება თუმცა ერთი  
ერთუღლიდან 5 ერთუღლიამდე გაზარდოს.  
ამით ნათელი ხდება ფირმის წარმოების  
მასშტაბები.

ძალზე წარმატებული გამოდგა ზალაუ-  
რი (ციხლის რეპტული სისტემების „ას-  
ტრის II“-ის (Artiller Saturation Rocket  
Syeem) პროექტი, რომელიც პურსაქეტო-  
ვით კლავს სამხედრო ინსტიტუტთან  
ერთად კომპანია „პრეზისლ ავიბრას აერო-  
სპასიალმა“ დაამუშავა. ამ სისტემის ჭურ-  
ვის ფრენის სიძრე, კალიბრისა და ტიპის  
გაითვისსწინებით, 60 კილომეტრია. „ას-  
ტრის II“ მიწოდებულია ერთსა და სურის  
არაბეთს, მაგრამ მოთხოვნების დაცე-  
მამ (წაწილობრივ ირან-ერაკის ომის  
დამთავრებამ), გააუარესა სამხედრო  
მრეწველობის საქმე. წარსულის მიღწე-  
ვებმა ვერ იხსნა „ეიბრასი“ პრეტენზიო-  
სისაგან, ხოლო ENGESA გაკონტრულებ-  
და. აღბრძო ამ მოვლენებმა შეაჩინა გრძელ-  
ვლიანი 155-მილიმეტრიანი პაუბერის  
კონსტრუირება, რომლის წარმოებასაც  
ბრაზილიელი ავსტრიული ლიცენზიის  
მიხედვით ამბრებდნენ.

სადრეოდ იარაღის სამრეწველო დარ-  
გი უფრო მდგრადი აღმოჩნდა. ამ მხრივ  
ბრაზილიას უკვე გავლილი ჰქონდა გზა  
სალიკებრივად სამშულო მიწოდებაზე.  
მაგალითად, ბრაზილიამ, ისევე  
როგორც ბევრმა სხვა ქვეყანამ, შვიდმა  
ბელგური 7.62-მილიმეტრიანი საიარაღო  
შაშხანა FNFA-ის ლიცენზია. მოკვი-  
ანებით კი მისი ცვაზებისა და ნაწილების  
გამოყენებით სახელმწიფო კომპანია IM-  
BEL-მა არმიისა და საპოლიციო სამსახ-



„ტაურუსის“ წარმოებული ერთ-ერთი რევოლვერია  
„Raging Bull“ (ნატოფუნდული ხაზი) 2005 წელს „არსენალის“  
რეზერვის „იორანის მალაზიის“ სტუმარზე გახლდათ.  
ქვედა ფოტოზე სწორედ მასწავლელი ფოტოსესიის მონაწილე,  
სიბერეტო „კანონის“ მოდელი ნათია ფორულავაა აღბეჭდილი...



ურებისთვის შექმნა 9-მილიმეტრიანი პის-  
ტოლეტ-ტყვიამფრეველის სერია MD-1,  
MD-1A1, MD-2, MD-2A1. მცირეკალიბ-  
რიანი საიარაღო შაშხანა, რომელიც 5,56-  
მილიმეტრიან ტყვიებზე იყო გათვლილი,  
ფირმა IMBEL-მა იმვე FAL (MD-2)-ის ბა-  
ზაზე შექმნა. 1990 წელს მან მცირეკალიბ-  
რიანი საიარაღო შაშხანების სერიის MD1,  
MD2, მოკვიანებით, MD-97, MD-97L და  
MD-97LC-ის გამოშვება დაიწყო.

შედარებით გაწეულა სამშულო კონ-  
სტრუქციის ტყვიამფრეველის შექმნა. 1969  
წელს დაწვეული მუშაობის შედეგად,  
არმიის პერსპექტიული კლავის ინსტი-  
ტუტებმა მხოლოდ 1977 წელს დაუსრულ  
ხელშეკრულება ფირმა „მეკანია ინდუს-  
ტრია კომპრისუს“ ორი სადღესი მიღე-  
ვის დამზადების თაობაზე. 1979 წელს ბრა-  
ზილიის შეიარაღებულმა ძალებმა შეიარ-  
აღებაში მიიღო საკუთარი წარმოების  
7.62-მილიმეტრიანი ტყვიამფრეველი. მხ-  
ოლოდ ამის შემდეგ დაიწყო ბრაზილიური  
ტყვიამფრეველის საექსპორტო წარმოე-  
ბა. ტყვიამფრეველს ამჟერადიც ორიგინ-  
ნალური სახელწოდება შეუენიეს —  
„ურაბურუ“. ასე უწოდებენ ბრაზილიის  
ჯოჯოებებს მოხინდრე შაშხანს ფინე-  
ელს, რომელიც აგრესიულობით გამ-  
ორიყვია.

საკეცად წარმატებული გამოდგა ქლაქი  
პორტუგალიურაში მდებარე ფირმა „FOR-

JAS TAURUS CA“-ს საქმიანობა საერთა-  
შორისო იარაღის ბაზარზე. 80-იან წლებში  
„ტაურუსმა“ დაიწყო 9-მილიმეტრიანი  
პისტოლეტ „პერეტა-92“-ის სერიული წარ-  
მოება. იმავე წელს ბრაზილიამ შეიარ-  
აღებაში მიიღო ფირმის გამოშვებული იარ-  
აღი. ასე განდგა ბრაზილიური მოდლები  
PT-92 და PT-99, რომლებშიაც ბრაზილი-  
ური ფირმა მალე, პირველ იარაღის საერ-  
თაშორისო ბაზარზე გავიდა. დროთა გან-  
მგეობაში ბაზარზე გაიტანეს სხვადასხვა  
კალიბრის, სასტების, ზომის, ფილადასა და  
პლასტმასსმარჩიანი მოდლები (სერია  
PT-100 და PT-800). ისინი კარგად იფიქ-  
რებად ამერიკისა და ევროპის ბაზრებზე.

„ტაურუსის“ მკერ წარმოებული ერთ-  
ერთი რევოლვერია „Raging Bull“ (გაიოფე-  
ული ხაზი) რამდენიმე წლის წინ „არსე-  
ნალის“ „იარაღის მალაზიის“ სტუმარიც  
გახლდათ.

„ტაურუსმა“ გამოიშვა აგრეთვე იაფ-  
ფასიანი რევოლვერების რამდენიმე სერია  
(სხვადასხვა კალიბრისა და ძილურიც კი):  
ჯიბის, საპოლიციო, სხვადასხვა ტყვა-  
დილის დილურიანი, ავტომატურჩაზმახ-  
იანი და სხვ.

„ეპისისა და ხარისხის“ შეყარდება ყვე-  
ლა საწარმოსთვის მნიშვნელოვანია. რაც  
შეუქვება ბრაზილიელ შეიარაღებს, ეს შე-  
ფერდება, ჯერჯერობით, მშენებარად გა-  
მოსილია.

# არსებულვორდი

				1	2	3	4
5							
6							
						7	
8		9	10				
						11	12
13						14	15
						16	
17						18	
19			20	21			
		22					
23	24			25			
26							
27			28				
							

**თარაზულა:** 5. სამხედრო ავიაციის ქვედანაყოფი; 6. იგუეა, რაც კოსმონავტი; 7. ინგლისური მსუბუქი საბრძოლო მანქანა; 8. ამერიკული რეჟოლვერი; 11. სხვადასხვაგვარი ცეცხლსასროლი იარაღის მწარმოებელი ავსტრიული ფირმა; 13. შიგაწვის ძრავის ტიპი; 14. კოსმოსური ხომალდი; 16. მანქანის ან მქანაზმის ნაწილი; 17. საქართველოს მეფე დავით VI ...; 18. მსოფლიოს ერთ-ერთი უდიდესი მდინარე; 19. გერმანული

პისტოლეტი; 20. დანიური ავტომობილი; 22. რელიეფის ნაწილი; 23. საბერძნეთის საზღვაო-სამხედრო ფლოტის ხომალდი; 25. აშშ-ის ელჩი საქართველოში; 26. იტალიის არმიის საუკეთესო ქვეითი ნაწილების ჯარისკაცი; 27. ბილიარდის ვოხი; 28. უკრაინული ავტომობილი.

**პვიულა:** 1. სამაგიეროს გადახდა ბროლაში დამარცხებისათვის; 2. ჯარის ან პოლიციის ქვედანაყოფი, რომელიც თვალყურს ადევნებს წესრიგ-

სა და უშიშროებას გარკვეულ რაიონში; 3. ესპანური რეჟოლვერი; 4. ოფიცრის წოდება; 8. ამერიკული ზებგერითი „პაერი-პაერი“ ტიპის რაკეტა; 9. შეედური საიერიშო შაშხანა; 10. ძველებული იალქნაიანი გემის ტიპი; 11. ამერიკული მსუბუქი ტანკი; 12. ესპანური პისტოლეტი; 15. ერთგვარი სამხედრო ფორმის ქურთუკი; 20. ინგლისური ქვეითი ჯარების ტანკი; 21. მზის სისტემის პლანეტა; 24. საფრანგეთის ფეხბურთის გუნდი.

ფურნაღის წინა ნომერში გამოქვეყნებული „არსებულვორდის“ პასუხები: **თარაზულა:** 5. ფრენდიბილი; 6. შენბერგერი; 8. გოლკაპერი; 11. თუგზაქ; 12. აგნი; 13. პითონი; 15. აუტოლოუ; 16. დიფენი; 18. ნარდი; 19. მატრა; 21. ბრელი; 23. რია; 25. კატასტროფა; 26. გიორგაძე. **პვიულა:** 1. ბრეველი; 2. უდინეზე; 3. პორშე; 4. მანლიპერი 7. ვაზეთი; 8. გუანტანამო; 9. ლანდსტალტი; 10. პლასტუნი; 13. პარდნი; 14. ნანავი; 17. ფრა; 20. არისაგა; 21. ბაქრაძე; 22. დესანტი; 24. დანია.



# CBJ-MS



## შვედური თავდასხვის პერსონალური იარაღი ორიგინალური ჰაუსინგითა და ჩუსული ჯავშანგარანსპრობიორკაების გახვკავის უნაჩით

წარმოიდგინეთ შეტევებზე გადასული რუსული ჯავშანკოლონა (საქართველოში ბევრს ამის წარმოდგენა აღარც უნდა, სამსუხაროდ, ერთი წლის წინ ისინი ამის თვითმხილველნი გახდნენ) შედეგის საუკეთესო ავტორტრასაზე მიქრის, ბუნქებიდან კი შვედი სამხედროები „უზისმაკვარი“ პისტოლეტ-ტყვიამფრქვევებით ხსნიან ცეცხლს და რუსულ ჯავშანგამწვევ MT-1B-ების ბორტები საცერს ემსაფავსება...

ცოტა მხელი დასაჯერებელია, მაგრამ ახალ შვედურ პისტოლეტ-ტყვი-

ამფრქვევ CBJ-MS-ს 50 მ მანძილიდან არანაკლებ 7 მმ სისქის ჯავშნის (სწორედ ამ სისქის ჯავშანი აქვთ გვერდებზე რუსულ MT-1B-ებს) გახვრეტა შეუძლია, ხოლო 230 მ-ზე სტანდარტულ ჯავშანფილეტს ხვრეტს!

ეს მონაცემები, ერთი მხრივ, დაუჯერებლად მოჩანს, თუცა ეს რეალობაა, რასაც CBJ-MS-ის ქვეკალიბრის ჯავშანგამტანი ტყვიები აქვთებენ.

CBJ-MS თვდაცვის პერსონალური იარაღის (PDW) კლასს განეკუთვნება და ძალიან პკავს ლეგენდარულ ებრაულ

Mini-Uzi-ს, რაც არცაა გასაკვირი, რადგან სწორედ მის ბაზაზე შექმნილი პისტოლეტ-ტყვიამფრქვევში გამოყენებული თავისუფლად საკეტზე აკებული ავტომატიკის პრინციპია. სროლა ღია საკეტიდან ხდება.

ცეცხლის რეჟიმების მართვა ძალზე ორიგინალური ხერხით ხორციელდება, — გინდა თითო ტყვია გაისროლო? მაშინ სასხლეტს მსუბუქად, ავტომატურ ჯერზე გადასვლისას კი სასხლეტს ბოლომდე დააჭირე. საინტერესო მეთოდია, მაგრამ ამას მიყვება უნდა, თანაც ექსტრემალურ სიტუაციაში მსროლულს, ალბათ, გაუჭირდება იმის განსაზღვრა, სასხლეტს მსუბუქად დააჭიროს თუ მაგრად...

შვედური CBJ-MS-ის მთავარი განმასხვავებელი ნიშანი მაინც მისი ორიგინალური კალიბრისა და კონსტრუქციის ვაზნებია.

პისტოლეტ-ტყვიამფრქვევში გამოყენებულია 6,5X25 მმ კალიბრის ვაზნა.

საერთოდ, თვდაცვის პერსონალური იარაღში — PDW-ში სხვადასხვა საიარაღო ფორმა უკვე იყენებს არანადაციად კალიბრებს (მაგალითად, ბელგეური პისტოლეტ-ტყვიამფრქვევის FN P90-ის ვაზნის კალიბრია 5,7X28 მმ, ხოლო გერმანული „აეკლერ კოხის“ HK MP7-ში კი 4,6X30 მმ), მაგრამ შვედური პის-



**CBJ-MS**  
ბაშლილი  
კონდიხით



მაგრი და იგი დიდი საწყისი სიჩქარით აგრძელებს ფრენას.

იარაღის შემქმნელები ირწმუნებიან, რომ ამ ქვეკალიბრის ტყვიის სროლის ეფექტიანი მანძილი 300-400 მ-ს შეადგენს. თუკი ეს მონაცემები სიმართლეს შეესაბამება, გამოდის, რომ იგი ორჯერ აღემატება ამ მანკელებელ გერმანულ MP5-ს.



როგორც ზემოთ აღვნიშეთ, ვოლფრამისგან დამზადებული ტყვია გამოირჩევა მაღალი ჯავშანგამტანობით.

ტოლერ-ტყვიამფრქვევის ვაზნაში ქვეკალიბრის ტყვია დევს, ანუ ტყვიის კალიბრი ნაკლებია ზრახნიანი ლულის კალიბრზე. ქვეკალიბრის ტყვია ვაზნაში პლასტმასის სადგამზეა განთავსებული. თითონ ტყვიის კალიბრი მხოლოდ 4 მმ-ია და 2 გრამს იწონის. იგი ვოლფრამისგანაა დამზადებული და ჯავშანს კარგად ხერტს.

გასროლისას პლასტმასის სადგამი უზრუნველყოფს, რომ ქვეკალიბრის ტყვიამ 200 მმ სიგრძის ლულა 830 მ/წმ საწყისი სიჩქარით დატოვოს. შედარებისთვის: ტრადიციული „ლუგერის“ 9 მმ კალიბრის ტყვიის საწყისი სიჩქარე მხოლოდ 380-450 მ/წმ-ია.

ტყვიის სცილდება პლასტმასის სა-

7მმ სისქის რუსული MT-15-ს  
გვერდიითა ჯავშანი 50  
მეტრიდან ვერ გახვრიტა  
NATO-ს სტანდარტის 7,62 და 5,56მმ  
კალიბრის ტყვიებმა, 6,5X25  
CBJ-ის ქვეკალიბრის ტყვიებმა კი  
სამი ნახვრეტი გააკეთეს





**6,5X25მმ ტიპის სხვადასხვა ვაზნა ქვეკალიბრის ტყვიებით**



პისტოლეტ-ტყვიამფრქვევებში (UZI, MP5, Spectre M4 და სხვ) გამოიყენება. 6,5 მმ-ზე გადასხვლულად სხვა პისტოლეტ-ტყვიამფრქვევებს მხოლოდ ლულისა და ზამპრების გამოცვლა დასჭირდება.

*ირაკლი ალადაშვილი*

თუმცა ტყვიის მცირე მასა — 2 გრამი („ლუგერის“ 9 მმ-იანი ტყვიის მასა (მოლიფიკაციების მიხედვით) 5,5-9,5 გრამია) არ უზრუნველყოფს იმ მოწინააღმდეგის შეჩერებას, რომელსაც არ აცვია ჯუჯანგილიტი. ასეთი მცირე მასის ტყვიის სხეულზე მოხვედრას (თუ მან არ დაზიანა სახიცოცხლო ორგანოები) მოწინააღმდეგის ჯარისკაცი მაშინვე ვერ ამჩნევს და აგრძელებს ბრძოლას.

ამიტომაც კონსტრუქტორებმა CBJ-MS-ისთვის შექმნეს სპეციალური ქვეკალიბრის ტყვიაც, რომლის თვითარასამეტრულია და სხეულზე მოხვედრისას ის ციბრუტყვიით ტრიალს იწყებს და ადამიანის სხეულს ძალზე აზიანებს.

CBJ-MS-ის კიდევ ერთ დანებობა მხარედ შეიძლება ჩაითვალოს ის გარემოებაც, რომ ქვეკალიბრის ტყვიის გასროლისას წარმოქმნილი უკუდარტემის თითქმის ორჯერ ნაკლებია, ვიდრე ჩვეულებრივი „უზით“ 9 მმ კალიბრის ტყვიის გასროლისას, შესაბამისად, მსროლელი მზარზე ნაკლებ დარტემას გრძნობს და მიზნის დაზიანების ალბათობა ავტომატურში ჯერით სროლისას იზრდება.

6,5X25 მმ ტიპის ვაზნის შემქმნელუმა კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ნიუანსი გაითვალისწინეს. ამ ვაზნის პილზა, ფაქტობრივად, 9X19 მმ (პარაბელუმი, ლუგერი) კალიბრის ვაზნის პილზის იდენტურია, მხოლოდ წინა მხარეა 6,5 მმ-მდე შემცირებული.

ეს ტექნიკური დეტალი განაპირობებს 6,5X25 მმ ვაზნებისთვის იმავე მჭიდობის გამოყენებას, რომლებიც 9X19 მმ კალიბრის ვეკულა დემედე ცნობილ



**CBJ-MS-ის არასრული დაშლა**



**CBJ-MS-ი 100 ვაზნიანი ბარაზნიანი მჭიდობი**



**ჩვენი დონი:** შეედღო პისტოლეტ-ტყვიამფრქვევი **CBJ-MS-ი** მჭიდობის გარეშე 2,8 კგ-ს იწონის. მისი სიგრძე დაკეცილი კონდახით 363 მმ-ია, გაშლილი კი 565 მმ; ლულის სიგრძე 200 მმ-ს შეადგენს. სროლის ტემპი წუთში 700 გასროლა მდგა. იარაღის უყენდება 20, 30 ან 100-ვაზნიანი მჭიდობი. სროლის ფეკეტიანი მანძილი 400 მ-ს უახლოვდება.



Արևելահայկ  
ԱՐՄԵՆԻԱ

ՀՀ 1106 ՀՀ  
6066 ՀՀ 1106 ՀՀ



6 22 /  
34



**CBJ-MS**